პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი.
№ 160 (12074)

კვირა, 16 ივლისი, 1961 წ.

ფასი 2 კაპ.



წარჩინებული რუსთაველი მეფოლადეები ამირან ფანცულაია (ზევით) და გიორგი სიგუა, რომლებმაც ნ. ს. ხრუშჩოვის ქება დაიმსახურეს.

ამხანაგი ტ. ჟივკოვი

საქართველოდან გაემგზავრა

დიდი გულითადობით მიიღო საქართველომ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ტ. ჟივკოვი**, რომელიც ოჯახითურთ ოთხ დღეს იყო სტუმრად რესპუბლიკაში.

ამხანაგი ტ. ჟივკოვი დიდი ინტერესით გაეცნო საქართველოს ცხოვრებას, მის ეკონომიკასა და კულტურას, ღირსშესანიშნავ ადგილებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის **გ. ნ. ჯიბლაძის** თანხლებით მან იმოგზაურა მთელ რიგ რაიონებში.

ტ. ჟივკოვი იყო მცხეთაში. აქ მისი ყურადღება მიიპყრო არქიტექტურის შესანიშნავმა ძეგლებმა, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის მდიდარ ისტორიულ წარსულს. ტ. ჟივკოვი დიდხანს შეჩერდა საქართველოს XI საუკუნის მონუმენტურ ნაგებობასთან სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძართან. მან დიდი სიამოვნებით დაათვალიერა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების უძვირფასესი ძეგლი ჯვარის ტაძარი, რომელიც აშენდა VI საუკუნის დამლევსა და VII საუკუნის დამდეგს, და დაგვიხატა ლერმონტოვმა პოემა „მწირში“.

ამხანაგი ტ. ჟივკოვი იყო გორში. აქ მან დაათვალიერა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი. გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობაში ძვირფასი სტუმარი გაეცნო ამ დიდი საზოგადოებრივი მეურნეობის საქმიანობას. კოლმეურნეობის გამგეობამ მოძმე ბულგარელი ხალხის გამოჩენილი წარმომადგენლის პატივსაცემად სადილი გამართა.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ტ. ჟივკოვზე ბორჯომმა. მან აღნიშნა, რომ იშვიათად შეხვდებით სადმე ზღაპრული ბუნებისა და უაღრესად ხელსაყრელი კლიმატური პირობების ასეთ სრულ ჰარმონიას, როგორიც აქ არის.

საპატიო სტუმარი იყო თბილისის ზღვაზე, გაეცნო ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ნაგებობებს. ტ. ჟივკოვი დაწვრილებით დაინტერესდა სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაობით.

15 ივლისს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ჟივკოვი ოჯახითურთ ერევანს გაემგზავრა. ძვირფასი სტუმრები გულთბილად, ძმურად გააცილეს **ვ. პ. მჟავანაძემ მეუღლითურთ, გ. დ. ჯავახიშვილმა, პ. ვ. კოვანოვმა, გ. ი. ქადაგიძემ, გ. ნ. ჯიბლაძემ, ფ. დ. დუმბაძემ, ა. ნ. ინაურმა, გ. ა. გეგეშიძემ.** (საქინფორმი).

„კოლხეთი“ ჩავიდა ბრატსკში

ბრატსკი, 14 ივლისი. (საქინფორმი). დღეს ტაიგის ქალაქში გამოჩნდა ღია ნაცრისფერი ავტომანქანა-ფურგონი წარწერით „ძმებთან ბრატსკში“, იგი აქ მოვიდა შორეული საქართველოდან.

რთული რელიეფის ტრასით, თითქმის მთელი ჩვენი ქვეყნის გავლით განახორციელა საცდელი გარბენა სატვირთო მანქანა „კოლხეთმა“, რომელიც შექმნეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კონსტრუქტორებმა. მან მსოფლიოში უდიდესი ბრატსკის ჰესის მშენებლებს ჩამოუტანა წერილი, რომელშიც საქართველოს უდიდესი ინგურის ჰიდროსადგურის მშენებლები შეჯიბრებაში იწვევენ.

ეს ავტოგარბენა მოეწყო საქართველოს რესპუბლიკური გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის ინიციატივით, რომელსაც ინგურის ჰესის კოლექტივმა მიმართა თხოვნით დახმარებოდა ბრატსკის ჰიდრომშენებლებთან მეგობრული კავშირის დამყარებაში. ქუთაისის ავტოქარხანამ ამ მიზნით შესთავაზა თავისი ახალი ხუთტონიანი მანქანის „კოლხეთის“ პირველი ნიმუში. 56 დღეს გასტანა მოგზაურობამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „ზარია ვოსტოკას“ ორმა კორესპონდენტმა. გავლილია 8 ათასზე მეტი კილომეტრი.



ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეები გ. ჩაჩანიძე (მარჯვნიდან), უ. ჩუბინიძე, ვ. მეტრეველი და საამქროს უფროსი ოსტატი ვ. გიგიბერია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მეგობრობის ფოლადი

ამას წინათ რუსთავის მეტალურგები სტალინოელ მეგობრებს ესტუმრნენ. გიორგი სიგუამ მანამ ვერ მოისვენა, სანამ მარტენის საამქროში არ შეიხედა. ცნობილი უკრაინელი მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვლადიმერ პერებეინოსი ამ დროს მორიგეობას ახორციელებდა. მეფოლადემ სტუმარი შენიშნა თუ არა, საცეცხლური დაუშვა და ახალმოსულთან გულთბილი საუბარი გააბა.

ერთმანეთის ამბები იკითხეს, სოცშეჯიბრების ხელშეკრულება გააფორმეს, ქართველმა მეფოლადემ მასპინძელს ასეთი წინადადება შესთავაზა:

ვლადიმერ! დღეს ფოლადი ერთად გამოვადნოთ და იგი საჩუქრად მივუძღვნათ მშობლიური პარტიის XXII ყრილობას.

— კეთილი, — იყო პასუხი.

ორი გმირი დგას ღუმელთან, ადნობს მეგობრობის ფოლადს. მუშაობის დროს ერთმანეთს პრაქტიკულად უჩვენებენ საკუთარ გამოცდილებას, აცნობენ თავიანთ მეთოდებს.

შემოქმედებით შრომაში შეუმჩნევლად გადის დრო. გიორგიც და ვლადიმერიც ერთდროულად დაჰყურებენ საათს...

უკვე რამდენიმე წელია, რაც რუსთავის მეტალურგებს მეგობრული ურთიერთობა აქვთ სტალინოს მეტალურგიული ქარხნის კოლექტივთან. როგორც ცალკეული მეფოლადეები, ასევე მთელი კოლექტივები ერთმანეთს ეჯიბრებიან, უზიარებენ გამოცდილებას და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ.

ამ დღეებში ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სახელზე ვრცელი წერილი მოვიდა. უკრაინელი მეგობრები დაწვრილებით აცნობენ ქართველ კოლეგებს პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებებს, შვიდწლედის მესამე წლის ამოცანებს, ახალ ვალდებულებებს. წერილში ნათქვამია: 39 ბრიგადას მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება და ახლა მთელი ქარხანა იბრძვის კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის საწარმოს სახელის მოსახვეჭად.

„ძვირფასო ქართველო მეგობრებო, — სწერენ დასასრულ უკრაინელები, — ახლა, როცა მთელს საბჭოთა კავშირში გაშლილია პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, ჩვენ გადავწყვიტეთ მოგმართოთ ამ წერილით. გთხოვთ საპასუხო წერილში გაგვიზიაროთ თქვენი წარმატებები, შემდგომი მიზნები და ამოცანები, ყოველივე ახალი, რაც დანერგეთ, ან რის დანერგვასაც აპირებთ ახლო მომავალში ლითონის წარმოების გასადიდებლად.

გისურვებთ ახალ შრომით წარმატებებს. მივცეთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი ლითონი. მოდით ერთად მოვუმზადოთ პარტიის XXII ყრილობას მაღალი შრომითი საჩუქრები“.

უკრაინელი მეგობრების წერილი გულდასმით წაიკითხეს და განიხილეს ქარხანაში. სასწრაფოდ შეადგინეს საპასუხო წერილის ტექსტი, რომლითაც უკრაინელ თანამოსაქმეებს აცნობეს, რომ ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივი წელს გამოვიდა რესპუბლიკის საწარმოთა შორის საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად და იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულებები.

არ არის ახლა რესპუბლიკაში არც ერთი საწარმო, მშენებლობა, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, საკოლმეურნეო რგოლი, სადაც არ ამზადებდნენ შრომით საჩუქრებს ჩვენი დიადი პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად.

სკკპ XXII ყრილობის და საქართველოს კპ XXI ყრილობის აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა შვიდწლედის მესამე წლის საწარმოო პროგრამა შეასრულოს ვადაზე ადრე და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 1.200 ტონა თუჯი, 1.600 ტონა ფოლადი, 23.000 ტონა ნაგლინი, 4.000 ტონა მილი. გადაწყვეტილია აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით შვიდწლედის რესპუბლიკურ ეკონომიის ფონდში შეიტანოს 750.000 მანეთი. საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის შედეგად მიაღწიოს 65.000 მანეთ ეკონომიურ ეფექტს.

ქარხანაში უდიდესი მხარდაჭერა ჰპოვა ლენინგრადის მოწინავე საწარმოების თაოსნობამ — შევასრულოთ შვიდწლიანი გეგმა ხუთ წელიწადში. გამოეხმაურნენ რა ამ შესანიშნავ ინიციატივას, რუსთავის მეტალურგებმა ერთხელ კიდევ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს: მიაღწიონ 1965 წლისათვის დაგეგმილ დონეს თუჯის წარმოებაში 1962 წელს, ფოლადისა და ნაგლინისა — 1963 წელს, ხოლო მილებისა — 1964 წელს.

თუ როგორ მუშაობს რუსთავის მეტალურგების მთელი კოლექტივი, ამაზე ნათლად მეტყველებს როგორც გასული, ისე მიმდინარე წლის მუშაობის შედეგები. გასულ წელს ოთხსავე კვარტალში მეტალურგებმა გაიმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში და ოთხჯერვე შეინარჩუნეს ჯერ კიდევ 1959 წელს მიღებული რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში საამაყო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ქართველი მეტალურგები დაჯილდოებული არიან აგრეთვე პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელით.

შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ რუსთავის მეტალურგები მიმდინარე წელს. ნახევარი წლის მანძილზე სახელმწიფოს მისცეს ასობით ტონა ზეგეგმითი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, აქვე აღსანიშნავია, რომ მეტალურგებმა უკვე შეასრულეს საყრილობო სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და ახლა ვალდებულების გადამეტებით იძლევიან მეტალურგიულ პროდუქციას.

აცნობენ რა ამას უკრაინელ მეგობრებს, ქართველი მეტალურგები წერილში აღნიშნავენ, რომ ყოველივე ამაში მათ ხელს უწყობს მუშაობის მაღალი ტემპები. განსაკუთრებით კარგად მუშაობს ყრილობის წინადღეებში მარტენის საამქროს კოლექტივი. ცალკეულ დღეებში მემარტენეები აღწევენ ფოლადის წარმოების იმ დონეს, რაც გათვალისწინებულია 1965 წლის ბოლოსათვის.

მეფოლადეებს მეტი წარმატებები ექნებოდათ, უფრო მეტად რომ ავლინებდნენ და იყენებდნენ არსებულ რეზერვებს. აი სწორედ ამ რეზერვებზე მიუთითა მათ ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვმა მიმდინარე წლის 12 მაისს საზეიმო სხდომაზე თბილისში.

რუსთავის მეტალურგებს კარგად ახსოვთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სამართლიანი სიტყვა:

„ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ 1960 წელს გადაჭარბებით შეასრულა ფოლადის გამოდნობის გეგმა, მაგრამ მას შეეძლო გეგმის გადაჭარბებით გამოეშვა კიდევ არა ერთი ათასი ტონა ფოლადი, ყველა მეფოლადე ისე რომ მუშაობდეს, როგორც მუშაობენ წარჩინებული მეფოლადეები ამირან ფანცულაია და გიორგი სიგუა“.

მეფოლადეები ფანცულაია და სიგუა გახდნენ შუქურები მრეწველობაში და მის წამყვან დარგში — მეტალურგიაში.

ქებით იხსენიებენ ქართველი მეტალურგების კოლექტივში მომავლის მზვერავებს თუჯის მდნობელებს ა. ძამაშვილს, მეფოლადეებს ი. ტაბატაძეს, ზ. ყაველაშვილს, მკოქსავ-ქიმიკოსს ა. მამულაშვილს, მილმგლინავს პ. ბენდიანიშვილს, მგლინავებს რ. რიჟამაძეს და ნ. კურატაშვილს, საბოყვე ეზოს უბნის უფროსს, საქართველოს სსრ დამსახურებულ რაციონალიზატორს ს. სიხარულიძეს, რკინიგზელ გ. თევზაძეს, ავტომატიზაციის საამქროს უფროსს გევორქიანს და მრავალ სხვას.

მომავლის მზვერავების მოძრაობამ ფართოდ გაშალა ფრთები ქართველ მეტალურგთა შორის. ის გახდა სტიმული ქარხნის მთელი კოლექტივის პატრიოტული ბრძოლისა იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში მოიხვეჭოს კომუნისტური შრომისა და მაღლი კულტურის საწარმოს სახელი.

აცნობენ რა ყოველივე ამას უკრაინელ მეგობრებს, ქართველი მეტალურგები დასასრულ თავიანთ წერილში სწერენ:

„ძვირფასო მეგობრებო! უდიდესი სიამაყის გრძნობით ვიღებთ თქვენს წინადადებას მოვაწყოთ საყრილობო ურთიერთ გამოძახება უკრაინისა და საქართველოს მეტალურგებს შორის. უფრო მაღლა ავწიოთ ჩვენი მრავალი წლის ტრადიციული შეჯიბრების ალამი. თქვენი წარმატება ჩვენი სიამაყეა, ხოლო ჩვენმა საერთო მიღწევებმა დაე კიდევ უფრო განამტკიცოს საყვარელი სამშობლოს ძლიერება“.

...დიდი შრომითი აღმავლობაა ამჟამად რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. ვეებერთელა ღუმელებიდან განუწყვეტელ ნაკადად მოედინება თუჯისა და ფოლადის ლავები. საგლინავ დგანებზე კონვეიერული წესით კეთდება რკინის ფურცლები, მილები, სხვადასხვა სახის მეტალურგიული პროდუქცია.

ამ შემოქმედებით შრომაში წარმოიშვა კიდევ ერთი ახალი ინიციატივა, რომლის ავტორია ცნობილი ფურცელმგლინავი ნ. კურატაშვილი. ამ ინიციატივის არსი შემდეგში მდგომარეობს:

— მოეწყოს კომუნისტურ შრომის ბრიგადებს შორის შეჯიბრება და ბრიგადას, რომელიც ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მოიპოვებს, მიენიჭოს სკკპ XXII ყრილობის სახელობის ბრიგადის წოდება. ამასთან მეტალურგებმა გადაწყვიტეს ყრილობის გახსნის დღეს იმუშაონ ეკონომიის შედეგად დაგროვილი ნედლეულით.

• • •

დრო მიიწურა, მალე დამთავრდება დნობა. ყველას აინტერესებს ქართველი და უკრაინელი მეფოლადის მეგობრული შრომის შედეგი.

დნობა დამთავრდა. ციცხვებში ნიაღვრად წამოვიდა გამდნარი ფოლადი. გიორგი და ვლადიმერი პატარა არითმეტიკულ გაანგარიშებას აკეთებენ.

პირობა შესრულებულია. არის ზეგეგმითი 40 ტონა მეგობრობის ფოლადი.

ზ. ჯამასპიშვილი,
ზ. მერკვილაძე.

დღეს მეტალურგთა დღესასწაულია.
სახელი და დიდება თქვენ,
მეტალურგებო!

გაგარინი სამშობლოში გამოემგზავრა

ლონდონი, 15 ივლისი. (საქინფორმი). დღეს სამშობლოში გამოემგზავრა კოსმონავტი მფრინავი იური გაგარინი, რომელიც რამდენიმე დღეს სტუმრად იყო ინგლისში.

მთელ გზაზე საბჭოთა საელჩოდან ლონდონის აეროპორტამდე ათეულ ათასობით ლონდონელმა საზეიმოდ გააცილა კოსმოსის საბჭოთა დამპყრობი.

განცხადებაში, რომელიც ლონდონის აეროპორტში გააკეთა, ი. ა. გაგარინმა თქვა, რომ მას თან მიაქვს საუკეთესო მოგონებანი გულთბილ მიღებაზე, რომელიც ინგლისელმა ხალხმა მოუწყო.

გულითადი მისალმებები

მოსკოვი, 14 ივლისი. (საქინფორმი). სომალის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და სომალის პრეზიდენტმა ადენ აბდულა ოსმანმა დეპეშები გაუგზავნეს ერთმანეთს.

ლ. ი. ბრეჟნევის დეპეშაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ადამიანები დიდი პატივისცემითა და სიმპათიით ეპყრობიან სომალის რესპუბლიკას.

საპასუხო წერილში ადენ აბდულა ოსმანი კეთილდღეობასა და აყვავებას უსურვებს საბჭოთა ხალხს.

ამბები, ფაქტები, ცნობები

დარბაზობა კრემლში

მოსკოვი, 15 ივლისი, (საქინფორმი). დღეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტმა კრემლში გამართეს დარბაზობა მოსკოვის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალის გამო.

კრემლის დიდ სასახლეში მიიწვიეს სხვადასხვა ქვეყნის კინომსახიობები, რეჟისორები, ოპერატორები და ფესტივალის სხვა მონაწილენი, საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები.

სტუმრებს მიესალმა სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა.

ახალი რეაქციული პარტია ამერიკაში

ვაშინგტონი, 15 ივლისი (საქინფორმი). კონსერვატიული გაზეთის „ინდეპენდენტ ამერიკენის“ გამომცემელმა კენტ კურტნიმ განაცხადა, რომ შეიქმნა ახალი „ამერიკის კონსერვატიული საზოგადოება“, რომელიც აერთიანებს დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ყველა კონსერვატორს.

როგორც კურტნის განცხადებიდან ჩანს, ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის იდეოლოგიური ბელადი იქნება რესპუბლიკური პარტიის უაღრესად მემარჯვენე ფრთის ლიდერი სენატორი გოლდუოტერი.

ლენინის თხზულებათა XVIII ტომი

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის მეთვრამეტე ტომი, რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. ტომი შეიცავს ვლადიმერ ილიას ძის მთავარ ფილოსოფიურ ნაშრომს, მარქსისტული ფილოსოფიის დიად ნაწარმოებს — „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმს“.

ტომში მოთავსებულია აგრეთვე ცნობილი „ათი შეკითხვა რეფერენტისადმი“, (საქინფორმი).

დოქტორი კვამე ნკრუმა ბრატსკის ჰესში

ბრატსკი, 15 ივლისი. (საქინფორმი). დღეს განის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მეთაური დოქტორი კვამე ნკრუმა და მისი თანმხლები პირნი ირკუტსკიდან ბრატსკში ჩამოვიდნენ. აეროდრომზე საზეიმო შეხვედრის შემდეგ საპატიო სტუმარმა და მისმა თანამგზავრებმა ინახულეს მსოფლიოში უდიდესი ბრატსკის ჰესის მშენებლობა.

91 ქვეყანა — ფორუმზე

მოსკოვი, 14 ივლისი. (საქინფორმი). დღეს ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმის პრეს-ცენტრმა მოაწყო საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის. ფორუმი მოსკოვში გაიხსნება 25 ივლისს.

დაესწრნენ ფორუმის მუდმივი სამდივნოს წევრები ლუჩანა კასტელანა (იტალია), ბრაიმ ბუტალები (მაროკო), ხუ ცი-ლი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), ანტონიო კარსედო (კუბა), ჯეკობ სტივენსი (განა), გურეისი სუმარე (გვინეა), სეჩირო ხაცუოკა (იაპონია), ნელსონ ვანუცი (ბრაზილია), ვლადისლავ შევჩენკო (სსრ კავშირი). ჟურნალისტებს წარუდგინეს აგრეთვე მედიცინის დოქტორი პროფესორი ჟაკ რუ — ერთ-ერთი მომხსენებელი ფორუმზე. საფრანგეთის ახალგაზრდათა ორგანიზაციების დავალებით იგი გააკეთებს მოხსენებას „ახალგაზრდობა და პროგრესი“.

მუდმივი სამდივნოს დავალებით ნელსონ ვანუციმ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის და სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების ახალგაზრდა თაობის გულწრფელი მისწრაფება გაეცნოს ერთმანეთს, აწარმოოს გულახდილი დისკუსია. ამის დამადასტურებელია ის, რომ ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 340 ორგანიზაციამ. ისინი გამოგზავნიან დაახლოებით 700 მონაწილეს — 91 ქვეყნის წარმომადგენლებს. ფორუმზე ჩამოვლენ აგრეთვე 15 საერთაშორისო ორგანიზაციის — იუნესკოს, იუნესკოს ახალგაზრდობის ინსტიტუტის, საერთაშორისო სამოქალაქო სამსახურის, საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, მშვიდობის დაცვის სრულიად ქრისტიანთა მოძრაობისა და სხვათა წარმომადგენელნი.

საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტების პრეს-კონფერენცია

ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვლენ მხოლოდ კვაკერები და ზოგიერთი სხვა გაერთიანების წარმომადგენლები. ყველაზე დიდი ორგანიზაციების ლიდერებმა მოულოდნელად და სრულიად გაუმართლებლად უარი თქვეს ფორუმში მონაწილეობაზე, თუმცა თავდაპირველად მათ ინტერესი გამოიჩინეს ამ შეხვედრისადმი.

მუდმივ სამდივნოს სამწუხაროდ მიაჩნია, რომ ამერიკის ახალგაზრდობის ორგანიზაციები ფართოდ არ იქნებიან წარმოდგენილნი. უარის თქმის შედეგები გავლენას მოახდენს თვით ორგანიზაციებზე, რადგან ისინი ეთიშებიან მსოფლიოს წარმომადგენელთა ესოდენ დიდმნიშვნელოვან შეხვედრას. „ცივი ომის“ პოზიციებზე აღმოჩნდნენ აგრეთვე ისეთი ორგანიზაციები, როგორიც არიან დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობის გაერთიანებანი და ახალგაზრდობის მსოფლიო ასამბლეა.

მუდმივი სამდივნოს წევრებმა პასუხი გასცეს ჟურნალისტთა მრავალ კითხვაზე. ვლადისლავ შევჩენკომ განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია წარმოადგენს ჩვენი ახალგაზრდობის სხვადასხვა ფენას. დელეგაციის მეთაური იქნება სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი სერგი პავლოვი.

ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა კვირიკეს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე მარიამ ჩელებაძე ყოველდღიურად 120-150 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფს. მან ვალდებულება იკისრა წელს მოკრიფოს 10 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 ტონისა. მ. ჩელებაძემ უკვე შეასრულა წლიური გეგმა და ახლა ფოთოლს კრეფს ვალდებულების ანგარიშში.

სურათზე: მ. ჩელებაძე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

165.000 ტონა ჩაისთვის!

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

ი. გაგარინი ლონდონში

ლონდონი, 14 ივლისი. (საქდესი). დღეს ბუკინჰემის სასახლეში საუზმის შემდეგ იური გაგარინი წავიდა საბჭოთა სამრეწველო გამოფენაზე. აქ კოლეჯების სტუდენტებისა და საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის უნდა წაეკითხათ ლექცია საბჭოთა კავშირის მიღწევების შესახებ კოსმოსის ათვისებაში. აუწერელი იყო მსმენელთა აღფრთოვანება, როცა ლექციის წინ მათ მიესალმა ადამიანი, რომელმაც პირველმა შეაღწია კოსმოსში. იური გაგარინმა თქვა, რომ კოსმონავტისათვის საჭიროა მრავალმხრივი ცოდნა. მან წარმატება უსურვა სწავლასა და ცხოვრებაში ინგლისელ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. აღფრთოვანებულმა აუდიტორიამ მქუხარე ტაშით გააცილა საბჭოთა გმირი.

იური გაგარინი დიდ ბრიტანეთში სსრ კავშირის ელჩის ა. ა. სოლდატოვის თანხლებით წავიდა ჰაიგეიტის სასაფლაოზე. აქ არის კარლ მარქსის საფლავი. იური გაგარინმა წითელი და თეთრი მიხაკის გვირგვინით შეამკო მარქსის ძეგლი. გვირგვინზე არის წარწერა რუსულ და ინგლისურ ენებზე: „მაიორ იური გაგარინისაგან“.

საღამოს საბჭოთა საელჩოში გაიმართა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენელთა გულთბილი შეხვედრა საბჭოთა გმირთან. იური გაგარინს მიესალმა საზოგადოების თავმჯდომარე პლეტს-მილსი. იგი ამბობს, რომ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ ინგლისელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განსამტკიცებლად, იური გაგარინის ჩამოსვლა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა.

საზოგადოების წევრებმა იური გაგარინს გადასცეს სამახსოვრო საჩუქარი. გმირმა კოსმონავტმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის მეგობრებს გულთბილი მისალმებისათვის და წარმატება უსურვა საზოგადოების წევრებს მათ კეთილშობილურ საქმეში.

„გაგარინმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე“

ლონდონი, 14 ივლისი. (საქდესი). ბევრი ინგლისური გაზეთი სტატიებში იური გაგარინის ინგლისში ყოფნის შესახებ ხაზს უსვამს განათლების საბჭოთა სისტემის როლს საბჭოთა მეცნიერების მიღწევებში, აგრეთვე იმას, რომ საბჭოთა საზოგადოება ფართო შესაძლებლობებს აძლევს ახალგაზრდობას. ამავე აზრს გამოხატავს სამეფო საზოგადოების წევრ მეცნიერთა გამონათქვამი, რომლებმაც გუშინ საუზმე გამართეს გაგარინის პატივსაცემად.

„ჯოდრელ-ბენკის“ ობსერვატორიის დირექტორმა ბერნარდ ლოველმა განაცხადა, რომ გაგარინს დიდი ცოდნა და საოცარი დაკვირვების უნარი აქვს. „იგი ტექნიკურ საკითხებზე ლაპარაკობს ტექნიკური ენით, — აღნიშნა ლოველმა, — და გაგვაოცა თუ როგორ გვიპასუხებდა კითხვებზე“.

სამეფო ასტრონომიული საზოგადოების თავმჯდომარემ პროფესორმა მაკრიმ კორესპონდენტებს განუცხადა: „მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. იგი კითხვებზე პასუხს აძლევდა ისე, როგორც შეეძლო მხოლოდ ადამიანს, რომელმაც კარგად იცის საგანი, რაზედაც ლაპარაკობს“.

„იცნობდეთ, იური გაგარინია“

ლონდონი, 15 ივლისი. (საქდესი). გუშინ საღამოს იური გაგარინი გამოვიდა ბი-ბი-სის ტელევიზიით პროგრამაში „იცნობდეთ, იური გაგარინია“. მისგან ინტერვიუ მიიღეს ბი-ბი-სის მიმომხილველებმა რიჩარდ დიმბლბიმ და ტომ მარჯერისონმა, აგრეთვე საბჭოთა ტელევიზიის მიმომხილველმა ი. ფოკინმა.

ჟენევის თათბირზე

ჟენევა, 14 ივლისი. საქდესის სპეციალური კორესპონდენტი კ. რომანოვსკი იტყობინება: გახსნა რა ლაოსის შესახებ ჟენევის თათბირის დღევანდელი სხდომა, თავმჯდომარემ გ. მ. პუშკინმა (საბჭოთა კავშირი) მიულოცა საფრანგეთის დელეგაციას საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული — ბასტილიის აღების დღე და უსურვა ფრანგ ხალხს ყოველგვარი წარმატებანი.

შემდეგ სხდომაზე გამოვიდა ბირმის წარმომადგენელი დ. ბარინგტონი.

მეორე გამოვიდა ინდოეთის დელეგაციის მეთაური კ. მენონი. ლაოსის ნეიტრალიტეტის საკითხის გამო დეკლარაციის პროექტის დამატებით, რომელიც გუშინ შეიტანა, მან თათბირს გადასცა ოქმის პროექტი, რომელშიც უმთავრესად საქმე ეხება სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის უფლებებსა და მოვალეობებს, ამასთან გათვალისწინებულია ცვლილებანი, რომლებიც მოხდა ლაოსში 1954 წლიდან, როცა ხელმოწერილი იყო ჟენევის პირველი შეთანხმებანი.

სახალხო ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯან ხან-ფუმ მოუწოდა ამერიკელ დიპლომატებს გადასინჯონ თავიანთი პოზიციები და დათანხმდნენ, რომ თავდაპირველად განხილულ იქნეს ლაოსის საქმეებში ჩაურევლობის ვალდებულებანი, ხოლო შემდეგ კონტროლის ვალდებულებანი. ამერიკელი წარმომადგენელი, თქვა მან, თითქოს არ არის იმის წინააღმდეგი, რომ ჩვენმა თათბირმა დაიწყოს კონკრეტული დოკუმენტების განხილვა. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი მოითხოვს, მანამდე განხილულ იქნეს საერთაშორისო კომისიის რწმუნებულებათა საკითხები.

ზოგმა ვინმემ, განაგრძო ჯან ხან-ფუმ, შიში გამოთქვა, რომ, თუ დაიწყება ლაოსის ნეიტრალიტეტის საკითხის განხილვა, შემდეგ ვერ გადაიჭრება კონტროლის საკითხი. ასეთი შიში ზედმეტია. ნეიტრალიტეტის საკითხი და კონტროლის საკითხი სხვადასხვაა თავისი მნიშვნელობით, მაგრამ ამავე დროს ეს საკითხები ურთიერთ დაკავშირებულია.

ამერიკის წარმომადგენელი, თქვა დასასრულ ჯან ხან-ფუმ, ყოველთვის აცხადებს, რომ ესწრაფვის ლაოსის პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას. დაწყებული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედით და გათავებული სენატორ ჰემფრით, ყველანი აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ იხილონ ლაოსი დამოუკიდებელი და ნეიტრალური. მაგრამ მარტო განცხადებანი საკმარისი არ არის, ჩვენ მოველით კონკრეტულ საქმეებს.

ამით დაამთავრა მუშაობა დღევანდელმა სხდომამ.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 17 ივლისს.

მაო ძე-დუნისა და კიმ ირ სენის შეხვედრა

პეკინი, 14 ივლისი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო ხანჯოუდან იუწყება, დღეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე მაო ძე-დუნის საპასუხო ვიზიტად ეწვია კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს კიმ ირ სენს და გულითადი და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

ანგოლა იბრძვის

ნიუ-იორკი, 14 ივლისი. (საქდესი). ანგოლელ პატრიოტთა რაზმები ყოველდღე აყენებენ საგრძნობ დარტყმებს პორტუგალიის კოლონიური არმიის ნაწილებს. 13 ივლისს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლისაბონიდან იუწყებოდა, რომ უკანასკნელ დღე-ღამეში აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს ქალაქ ლუვოზე, რომელიც ანგოლის ჩრდილოეთი საზღვრის ახლო მდებარეობს. მოკლულია ორი პორტუგალიელი ჯარისკაცი. ანგოლელმა პარტიზანებმა ამავე დღეს დაიწყეს ბრძოლა პორტუგალიის ჯარებთან, რომლებიც დასახლებულ პუნქტებს კუიმბოს იცავენ ჩრდილოეთ ანგოლაში.

გზაზე სონგოსა და კარმონას შორის ანგოლელებმა სროლა აუტეხეს პორტუგალიელ სამ ავტომანქანას.

კოლონიური ხელისუფლები გაფაციცებით ადიდებენ ძალებს ჩრდილოეთ ანგოლაში—ანგოლელი პარტიზანების აქტივობის ძირითად რაიონში. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამ უკანასკნელ ხანს შეიქმნა 22 ახალი გამაგრებული საპოლიციო ცენტრი, რომლებიც განლაგებულია ანგოლისა და კონგოს საზღვრის გაყოლებით, აგრეთვე ჩრდილოეთ ანგოლის მთავარ პუნქტებში.

პარიზი, 14 ივლისი. (საქდესი). რაიონში სონგოსა და იგაგეს შორის ანგოლელი პარტიზანების რაზმები, რომლებშიც დაახლოებით 300 კაცი იყო, თავს დაესხნენ პორტუგალიელ კოლონიზატორთა მთელ რიგ პლანტაციებს.

ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, თავს დაესხნენ აგრეთვე პორტუგალიელთა პლანტაციებს ლაკუნგის მიდამოებში 120 კილომეტრზე კარმონიდან.

სოფელ მუკიანა სანზის (ჩრდილოეთი ანგოლა) ახლოს პორტუგალიის პატრული, რომელიც ლუფიკოსაკენ მიდიოდა, წააწყდა პარტიზანების მიერ მოწყობილ საფარს. მოკლულია ერთი და დაჭრილია ერთი ჯარისკაცი.

პარიზი, 14 ივლისი. (საქდესი). „განმათავისუფლებელ არმიას ვრცელი ტერიტორიები უკავია ანგოლის ჩრდილოეთში“, — განაცხადა ანგოლის სახალხო კავშირის ერთ-ერთმა ლიდერმა ჯონ სიფიმიამ, რომელიც კაიროში ჩავიდა. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ჯონ სიფიმიამ თქვა: რომ „განმათავისუფლებელი არმიის ამოცანა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ შეინარჩუნოს ეს ტერიტორიები და შემდეგ საბოლოოდ განდევნოს ანგოლიდან მთელი პორტუგალიელი შეიარაღებული ძალები და აფრიკის დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ გადააქციოს ანგოლა“.

◆

საფრანგეთის მაშველი ძალები

პარიზი, 14 ივლისი. (საქდესი). დღეს ალჟირიდან ბიზერტის სამხედრო-საზღვაო ბაზაში თვითმფრინავებით გაიგზავნა საფრანგეთის მაშველი ჯარები. ამის შესახებ იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, რომელიც იმოწმებს ცნობებს, „რომლებიც მიღებულია ორანიდან, მაგრამ არ არის ოფიციალურად დადასტურებული“. მაშველ ჯარებში არიანი საჰაერო დესანტის ჯარისკაცები და საზღვაო ქვეითი ჯარის პარაშუტისტები.

სააგენტო ამ ოპერაციას უკავშირებს ტუნისის ფართო მოძრაობას ბიზერტიდან საფრანგეთის ჯარების გაყვანისათვის.

ცეცხლთან საშიში თამაში



ადენაუერს და მასთან ერთად დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრ ბრანდტს განზრახული აქვთ წინააღმდეგობა გაუწიონ მდგომარეობის ნორმალიზაციას დასავლეთ ბერლინში.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომიძისა.

ახალი ცნობები ვენერის შესახებ

პულკოვოს ასტრონომის ნ. ა. კოზირევის აღმოჩენა

პულკოვო, 14 ივლისი. (საქდესის კორ. ა. ვიქტოროვი). დღეს მთავარი ასტრონომიული ობსერვატორიის კონფერენც - დარბაზში პულკოვოსა და ლენინგრადის მეცნიერები და სპეციალისტები დიდი ყურადღებით უსმენდნენ ცნობილი ასტრონომის ნ. ა. კოზირევის მოხსენებას ვენერის ღამის, მზით გაუნათებელი მხარის ნათების შესახებ.

ერთ საათზე მეტ ხანს მოუთხრობდა ნ. ა. კოზირევი დამსწრეთ თავისი კვლევის შესახებ, რომლის შედეგია საინტერესო მეცნიერული აღმოჩენა. გაცხოველებულ შემოქმედებით დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ა. ა. მიხაილოვმა, მ. ს. ზვერევმა, დ. დ. მაქსუტოვმა, პროფესორმა ნ. ნ. პავლოვმა და სხვებმა.

ნ. ა. კოზირევის ნაშრომი დიდად შეაფასეს პულკოველმა ასტრონომებმა. სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა სასწრაფოდ გამოაქვეყნოს ეს ნაშრომი მეცნიერულ გამოცემებში და კვლავ განახორციელოს ვენერისა და სხვა დიდი პლანეტების სპექტროსკოპიული გამოკვლევა.

საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს ნ. ა. კოზირევს ემბნა თავისი მუშაობის შედეგებზე.

— კარგად არის ცნობილი, — თქვა მეცნიერმა, — რომ ახალი მთვარის დროს, მასზე მოჩანს არა მარტო ნამგალი, მზით განათებული, არამედ ბნელი მხარეც, რომელსაც ამ დროს ანათებს ჩვენი დედამიწა. ვენერას არა ჰყავს თანამგზავრი. ამიტომ, თითქოს არ არის არავითარი საფუძველი, რომ ანათებდეს მისი ბნელი მხარე. მაგრამ ჯერ კიდევ 1643 წელს იტალიელმა ასტრონომმა რიჩიოლიმ ვენერაზე დაინახა ეს ნათება.

იმის გამო, რომ ეს ნათება ყოველთვის არ ჩანდა, ალბათ ცვალებადი სიკაშკაშის გამო, ასტრონომებს უკანასკნელ დრომდე მიაჩნდათ, რომ ეს მოვლენა ოპტიკური შეცდომაა.

1953 წელს ყირიმის ობსერვატორიის 50-დუიმიანი რეფლექტორის საშუალებით მე გადავიღე ვენერის ღამის მხარის ნათების სპექტრი და ამით დავამტკიცე ამ მოვლენის რეალობა. სწორედ მაშინ დავასკვენი, რომ ვენერის ბნელი მხარის ნათება ხდება იმის გამო, რომ მასზე ანათებს იონოსფერა—მოვლენა, რომელიც კარგად არის ცნობილი ჩვენს პლანეტაზე, და განაპირობებს ღამის ცის ნათებას დედამიწაზე. მოგვიანებით ინგლისელმა ფიზიკოსმა ბ. უერნერმა მიღებული სპექტროგრამის საფუძველზე დაადგინა, რომ ვენერის იონოსფერაში არის აზოტი და ჟანგბადი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ვენერის დაკვირვებისათვის ხელსაყრელი პერიოდი მეორდება ყოველ რვა წელიწადში, მიმდინარე წელს კვლავ განვახორციელე იმავე ყირიმის ობსერვატორიაში დაკვირვება, მაგრამ იონოსფერა ნაკლებად აქტიური იყო. ვერცერთხელ ვერ შევძელი მისი ნათების სპექტრის მიღება. ეს იყო იმის დამაჯერებელი დადასტურება, რომ მის ფიზიკურ პირობებში ხდება ცვლილებანი.

კვლევის, აგრეთვე მთელი რიგი სპექტროგრამების გაზომვის დროს აღმოვაჩინე, რომ იონოსფერის ნათების გარდა, ვენერაზე ჯერ კიდევ არის მეცნიერებისთვის მისი ატმოსფეროს ქვედა შრეების უცნობი მუდმივი ნათება, რაც ხდება ამ პლანეტის ღრუბლების შიგნით ან მათ ქვემოთ.

შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ვენერის ღამის მხარის უჩვეულო ნათება გამოწვეულია ფორმალდეგიდით. ეს გაზი შეიძლება წარმოიშვას ვენერის ატმოსფეროში ნახშირორჟანგისაგან, როცა არის წყლის ორთქლი.

მაშ როგორია ასეთი უჩვეულო მოვლენის ბუნება, რომელიც სავსებით უცნობია დედამიწაზე? როცა ვიწყებდი ამ გამოკვლევას, ვფიქრობდი, რომ ვენერის ატმოსფეროს ქვედა შრეების ნათება შეიძლება მოხდეს როგორც ორგანული ფოსფორესცირება, ან როგორც ელჭექის განმუხტვა. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ ნათებას იწვევს ქიმიური პროცესები, რომლის მეოხებით პლანეტის ღრუბელთა შრე მუდმივად ანათებს სიკაშკაშით, როგორითაც ჩვენში დედამიწაზე ღრუბლები [illegible] მთვარით.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არის ზოგიერთი პირველადი [illegible] „წვა“, რომლის დროს [illegible] ბელი ფორმალდეგიდი. ამგვარი მოვლენები კარგადაა ცნობილი ლაბორატორიული პრაქტიკიდან.

ვიმედოვნებ, რომ შემდგომი კვლევა ახალ შუქს მოფენს ვენერის ფიზიკურ თავისებურებებს — პლანეტისა, რომლის შესახებ თანამედროვე მეცნიერებამ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეგრაფი გვატყობინებს

◆

☐ საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა „დამალოს“ „ანტილის კუნძულებისა და გვიანის გაერთიანებული ფრონტი“, რომელიც აერთიანებს გვადელუპის, მარტინიკისა და გვიანის მკვიდრ სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის პირებს, რომელნიც საფრანგეთში ცხოვრობენ.

☐ ფირმა „უილიამ ბრიდენი“ (ბირმინჰემი, ინგლისი), რომელიც ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებს უშვებს, იუწყება, რომ ხურავს თავის საწარმოს ბრიჯუოტერში, რათა მთელ წარმოებას ბირმინჰემის საწარმოებში მოუყაროს თავი, ბრიჯუოტერის ქარხნის 700 მუშას დაითხოვენ.

☐ ლათინური ამერიკის ავიასატრანსპორტო კომპანიების წარმომადგენლებმა დაგმეს „მონოპოლისტური პრაქტიკა საჰაერო ტრანსპორტის შესახებ საერთაშორისო ორმხრივ შეთანხმებათა დარღვევისა“, რასაც სჩადიან ჩრდილოეთ ამერიკის მონოპოლიები „პან ამერიკენ უორლდ ეირუეისი“ და „პან ამერიკენ გრეი ეირუეისი“.

☐ ძლიერი შტორმის დროს 18 ივლისს ღამით ესპანეთის ჩრდილოეთ სანაპიროსთან დაიღუპა 8 თევზსაჭერი გემი. ფიქრობენ, რომ უკვალოდ დაიკარგა და დაიღუპა დაახლოებით 32 კაცი. (საქდესი).

ამერიკა-პაკისტანის მოლაპარაკება

ვაშინგტონი, 14 ივლისი. (საქდესი). აქ დამთავრდა სამი დღის მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედისა და პაკისტანის რესპუბლიკის პრეზიდენტ მ. აიუბ-ხანს შორის.

დასკვნითს ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია, რომ კენედიმ და აიუბ-ხანმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საერთაშორისო საკითხების შესახებ. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმ რაიონების ამბებს, სადაც კონფლიქტის საფრთხეა. პრეზიდენტებმა, კერძოდ, განიხილეს საფრთხე, რომელსაც ქმნის ბერლინისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, განსაკუთრებით ლაოსის ამასწინანდელი ამბები“.

კომუნიკეს ავტორები იმეორებენ ჩვეულებრივ ანტიკომუნისტურ პროპაგანდას და აცხადებენ, რომ არსებობს რაღაც „საფრთხე სამხრეთ აზიის სუბკონტინენტის თავისუფალი ხალხებისათვის“ და ამტკიცებენ, თითქოს „ეს რაიონი საერთაშორისო კომუნიზმის მთავარი მიზანი იყოს“.

კენედიმ და აიუბ-ხანმა, აღნიშნულია კომუნიკეში, განიხილეს აგრეთვე საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია პაკისტანისათვის ამერიკის სამხედრო დახმარების შემდგომ მიცემასთან, და კვლავ განაცხადეს, რომ ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არსებულ სამხედრო ბლოკებს.

როგორც პრესამ აღნიშნა, აიუბ-ხანმა, ვაშინგტონში ვიზიტის დროს მტკიცედ მოითხოვა, რომ შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირონ პაკისტანს ძველ დავაში ინდოეთთან ქაშმირის გამო. მაგრამ, კომუნიკეს მიხედვით, შეერთებული შტატების მთავრობას საქვეყნოდ არ შეუბოჭავს თავი რაიმე კონკრეტული დაპირებით. კომუნიკე ამ პრობლემას ერთობ ზოგადად ეხება.

კომუნიკეში ნათქვამია აგრეთვე, რომ შეერთებული შტატები და პაკისტანი „შეთანხმდნენ, რომ საჭიროა დახმარება გარედან პაკისტანის ფინანსური საჭიროების დასაკმაყოფილებლად“.

ას სამოცდათორმეტი წლის წინათ დაეცა ბასტილია. სასტიკი თვითნებობისა და დესპოტიზმის სიმბოლოდ ქცეული ციხე-საპატიმროს ნანგრევებზე რევოლუციურმა ხალხმა აღმართა სამფეროვანი დროშა ზედწარწერილი ამაყი სიტყვებით: „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა“. მას შემდეგ 14 ივლისი აღინიშნება საფრანგეთში როგორც ეროვნული დღესასწაული.

14 ივლისს, ბასტილიის აღების დღის აღსანიშნავად, მთელ საფრანგეთში გაიმართა სახალხო სეირნობა და მანიფესტაციები. საფრანგეთის ნამდვილი პატრიოტები სახელოვან წლისთავს აღნიშნავდნენ მშვიდობისა და დემოკრატიულ თავისუფლებათათვის ბრძოლის გაძლიერებით. ისინი გამოვიდნენ ქუჩებში და მოითხოვდნენ, რომ შეწყდეს „ბინძური ომი“ ალჟირში. ამავე დროს კი ელისეს მინდვრებზე პარიზში გაიმართა სამხედრო პარადი. ტრიბუნებს ჩაუარეს... პარაშუტისტებმა უცხოელთა ლეგიონიდან, რომელიც ალჟირში 22 აპრილს მომხდარი სამხედრო-ფაშისტური პუტჩის დასაყრდენი იყო.

აი იგი — თავისუფლება, როგორც ეს საფრანგეთის დღევანდელ მმართველებს ესმით! აი იგი — ძმობა! ვაჟბატონები, რომლებიც რესპუბლიკას ემუქრებოდნენ, მწყობრად დადიან პარიზის ქუჩებში, ხოლო ალჟირში მშვიდობიან ადამიანთა სისხლი იღვრება.

სურათზე თქვენ ხედავთ ტყვე ალჟირელ ჯარისკაცებს. ისინი ერთმანეთზე გადაუბამთ, რადგან კოლონიზატორებს ეშინიათ მათი, რადგან შაშხანებისა და ავტომატების წინაც კი არ მოუდრეკიათ მათ ქედი. მათ დახვრეტენ. მაგრამ ხალხში ვერ ჩაკლავენ მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ — ალჟირელი ხალხი მოიშორებს კოლონიური მონობის ბორკილს.

საერთაშორისო მიმოხილვა

სუსხიანი ქარი დასავლეთიდან

ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაზე თუ მეტეოცნობების ენით დავწერთ, იგი შეიძლება ასე შევაფასოთ: დასავლეთიდან დაუბერა სუსხიანმა ქარმა, რომელიც მოასწავებს პოლიტიკური ატმოსფეროს საერთო აცივებას. რა თქმა უნდა, როცა ადამიანი ამინდის პროგნოზს კითხულობს, იგი მას ხვდება როგორც გარდუვალს. მაგრამ როცა საქმე ეხება პოლიტიკური ამინდის გაუარესებას, საღად მოაზროვნე ადამიანებს ესმით, რომ ეს გამოწვეულია არა ბუნების ბრმა ძალებით, არამედ დასავლეთის ბოროტგანმზრახველი წრეების შეგნებული მოქმედებით.

ამჟამად ყურადღების ცენტრშია გერმანიის საზავო ხელშეკრულებისა და დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციის საკითხი. სწორედ ამ პრობლემებთან არის დაკავშირებული პოლიტიკური ჰავის ახლანდელი აცივება, თუმცა ასეთი აცივებისათვის არავითარი საფუძველი არ არის. საბჭოთა კავშირის პოზიცია ჩამოყალიბებული იყო ოფიციალურ დოკუმენტებსა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებში მრავალჯერ და უკიდურესი სიცხადით. ყოველ უწინაზრახვოდ განწყობილ ადამიანს ეს დოკუმენტები და გამოსვლები უკარნახებენ სულ ცოტა ორ დასკვნას.

პირველი: მსოფლიოში შეიქმნა ვითარება, როცა გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების შემდგომი გაჭიანურება პირდაპირ შეუძლებელი გახდა; „გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, —ნათქვამია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის გადაწყვეტილებაში მშვიდობის გერმანული გეგმის შესახებ, — გადაუდებლად აუცილებელი გახდა გერმანიისა და მთელი მსოფლიოს გადარჩენისათვის ატომური ომის სერიოზული საფრთხისაგან, აგრეთვე გერმანელი ხალხის მშვიდობიანი მომავლის უზრუნველყოფისათვის“.

მეორე: ამ პრობლემების გადაჭრის გზა, რომელსაც აყენებს საბჭოთა კავშირი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალისტური ბანაკის ყველა სხვა ქვეყნის ერთსულოვანი მხარდაჭერით, არ აძლევს რაიმე უპირატესობას ან სარგებლობას ვისმეს და არ ლახავს ვისიმე ინტერესებს: სიტყვაში სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა წინაშე ამხანაგმა ხრუშჩოვმა კვლავ ცხადყო ეს მთელი დამაჯერებლობით, უდიდესი მოთმინებით გაუკეთა ანალიზი ყველა საწინააღმდეგო მოსაზრებასა და შიშს, რასაც დასავლეთში გამოთქვამენ ჩვენი წინადადებების გამო გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ.

უნდა ითქვას, ყველა ეს შიში გულწრფელი რომ იყოს და გამომდინარეობდეს უბრალო გაუგებლობიდან, ახლა ატმოსფერო გაიწმინდებოდა და დღის წესრიგში დადგებოდა პრაქტიკული მოქმედების საკითხი მომწიფებული პრობლემების გადასაჭრელად. მაგრამ მდგომარეობის ტრაგიზმი ის არის, რომ ყველა საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელსაც დასავლეთი აყენებს საბჭოთა წინადადებების მიმართ, მოგონილი, ხელოვნური ხასიათისაა. ისინი გამომდინარეობენ არა გაუგებლობიდან, არამედ იქიდან, რომ არა სურთ ბოლო მოუღონ მეორე მსოფლიო ომის ნაშთებს, მისწრაფებიდან — შეინარჩუნონ მისი მბჟუტავი ცეცხლი, რათა დაანთონ ახალი ხანძარი.

სწორედ ამით არის გამოწვეული ახალი აცივება საერთაშორისო ვითარებაში. დასავლეთის აგრესიული დიპლომატები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები კამათობენ არა იმის გამო, რასაც საბჭოთა კავშირი მოითხოვს და რასაც იგი იცავს, არამედ იმის გამო, რასაც ისინი თვითონ მიაწერენ მას. ასეთი ხერხი ახალი არ არის. მას ყოველთვის იყენებს ბურჟუაზიული პროპაგანდა, როცა არა აქვს რამდენადმე დამაჯერებელი მოსაზრებანი. უბრალო რეცეპტი, რომელიც საფუძვლად უდევს მასების გასულელების ამ მეთოდს, შემდეგია: ნუ მოისმენ იმას, რასაც მეორე მხარე ამბობს, დარჩი ყრუ მისი არგუმენტაციისადმი, დუმილით აუარე გვერდი ან დაამახინჯე მისი პოზიცია, მიაწერე მას სრულიად უაზრო მტკიცებანი. მაგალითები, რომლებიც ახასიათებენ ამ თაღლითური ხერხების შედეგებს, შორს არ არის საძებნელი.

სიტყვაში სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა წინაშე ნ. ს. ხრუშჩოვმა ცხადყო იმ მტკიცებათა სრული უსაფუძვლობა, რომ გერმანიის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე დასავლეთ ბერლინის გადაქცევა თავისუფალ დემილიტარიზებულ ქალაქად თითქოს საფრთხეს უქმნის იქ არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ წესწყობილებას, ამ ქალაქში თავისუფლად შესვლას და გამოიწვევს საბჭოთა კავშირის მიერ მის თითქმის დაპყრობას. ასეთი ზრახვები საბჭოთა კავშირს არ ჰქონია და არა აქვს.

არც ერთ საკითხში დასავლეთის, განსაკუთრებით ბონის, პროპაგანდას არ მიუღწევია სიყალბისა და ფარისევლობის ისეთი მწვერვალებისათვის, როგორიც გერმანიის ერთიანობის საკითხში. კანცლერ ადენაუერსა და მის დასავლელ პარტნიორებზე ხმამაღლა არავინ არ გაჰყვირის, რომ საჭიროა გერმანიის გაერთიანება როგორც საზავო ხელშეკრულების დადების წანამძღვარი. მაგრამ ამ მყვირალებზე მეტად არავინ არ უშლის ხელს ასეთ გაერთიანებას. გერმანიის სახელმწიფო ერთიანობის აღდგენა გერმანიის საშინაო პრობლემაა, თვით გერმანელთა საქმეა, რომელშიც სხვა სახელმწიფოებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა აქტიურად იბრძვის გერმანიაში მდგომარეობის ნორმალიზაციის წინააღმდეგ, რათა შეინარჩუნოს დაძაბულობის წყარო რევანშისტული ომისათვის მზადების გასამართლებლად. ბონის უკანასკნელ მემორანდუმში კვლავ აშკარად არის დასმული საკითხი გერმანიის საზღვრების რევიზიის შესახებ. მართალია, მემორანდუმის ავტორები ამბობენ, რომ ისინი არ აპირებენ გამოიყენონ ძალა საზღვრების შესაცვლელად, მაგრამ იქვე მუქარით აცხადებენ, რომ „ბუნდესვერის ყველა საბრძოლო ნაწილი შეყვანილია ნატოში“. როგორ უნდა გავიგოთ ეს? იქნებ, როგორც პირდაპირი თქმა იმისა, რომ არა მარტო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, არამედ მთელი ატლანტიკის ბლოკი ამზადებს რევანშისტულ ომს ბონის გეგმებით?

მაგრამ საქმე სიტყვიერი მუქარით როდი ამოიწურება. ამ ბოლო დროს ნატოს ქვეყნებმა მკვეთრად გაადიდეს სამხედრო ბიუჯეტები, გააძლიერეს საომარი მზადება. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ, როგორც ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, გადაწყვიტა გაადიდოს თავდაცვის ხარჯები და დროებით შეაჩერა მიმდინარე წლისათვის დაგეგმილი შეიარაღებული ძალების შემცირება.

დასავლეთის ქვეყნების მმართველი წრეების გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ამ იძულებითს ღონისძიებებზე წარმოადგენს იმის შეულრული ხელოვნების ნიმუშს, თუ როგორ უნდა დააყენო ნივთები ყირაძალა. რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელმა კორესპონდენტმა დიდხანს არ იფიქრა და გადაწყვიტა წარმოედგინა ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ნაბიჯები, როგორც ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა აიძულონ დასავლეთი დაიწყოს მოლაპარაკება პისტოლეტის ლულის წინ.

მთელი ეს თეთრი ძაფით ნაკერი პროპაგანდა განკუთვნილია პირველ რიგში იმისათვის, რომ შეინიღბოს ახალი გაძლიერებული საომარი მზადება დასავლეთში, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებში. „ცნობილი გახდა, — სხაპასხუპით იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტო, — რომ პრეზიდენტმა კენედიმ უბრძანა თავდაცვის სამინისტროს ხელახლა შეაფასოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერება“.

მართალია, ამგვარ აგრესიულ ღონისძიებებთან და განცხადებებთან ერთად დასავლეთში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოწოდებანი კეთილგონიერებისაკენ. მაგალითად, ლონდონის „ტაიმსს“ ალბათ ესმის, რომ სსრ კავშირი არავის არ ემუქრება, არამედ მხოლოდ ზრუნავს თავისი უშიშროებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის. საღად მოაზროვნე ადამიანებისათვის ნათელია, რომ სსრ კავშირის გადაწყვეტილებას — ხელი მოაწეროს გერმანიის საზავო ხელშეკრულებას, ვერ შეარყევენ ვერავითარი მუქარით და შანტაჟით. და რაც უფრო მალე გაიმსჭვალებიან ასეთი გაგებით დასავლეთის ქვეყნების მმართველი წრეები, მით უკეთესი იქნება მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის.

ი. მაზორი.

წყალდიდობა ინდოეთში

დელი, 15 ივლისი. (საქდესი). ინდოეთის სამხრეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ვრცელ რაიონებს უკანასკნელ დღეებში თავს დაატყდა გამანადგურებელი წყალდიდობა, რაც გამოიწვია მდინარეების ადიდებამ და კოკისპირულმა წვიმებმა.

ინდოეთის გაზეთების პირველი გვერდები სავსეა მრავალი რეპორტაჟით სტიქიურ უბედურებაზე, რომელიც ამ ქვეყანას თავს დაატყდა. ბევრ დასახლებულ პუნქტში, განსაკუთრებით სამხრეთ ინდოეთში, ცხოვრება მთლიანად პარალიზებულია, დარღვეულია რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა, შეწყვეტილია სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი. გამოწვეულია დიდი მატერიალური ზარალი, რომელიც ათობით მილიონი რუპიით განისაზღვრება. წყალდიდობის შედეგად ათობით ადამიანი დაიღუპა.

ნამდვილი კატასტროფა დაატყდა თავს ქალაქ პუნას (მაჰარაშტრას შტატი). წყლის ნაკადი, რომელმაც დაანგრია ორი ჯებირი, ერთი რომელთაგანი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აშენდა, მისკდა ქალაქს, დატბორა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი. არასრული მონაცემებით, პუნაში დაიღუპა 37 კაცი. მოსახლეობას არა აქვს წყალი, სურსათი და ელექტროენერგია. ქალაქი მოწყვეტილია გარე სამყაროს.

ქალაქ კალკუტას რაიონში დაიღუპა 20 კაცი და მთლიანად დაინგრა დაახლოებით 1800 სახლი. მდინარე კრიშნაზე დაიღუპა დანჯღრეული გემი. შიშობენ, რომ იქ მყოფი სტიქიური უბედურების მსხვერპლნი — სულ დაახლოებით 50 კაცი — დაიხრჩო.

უბედურების რაიონებში მიმდინარეობს დიდი მაშველი სამუშაოები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ ინდოეთის არმიის ნაწილები.

ფინეთის ახალი მთავრობა

ჰელსინკი, 14 ივლისი. (საქდესი). ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ურხო კეკონენმა დღეს დაამტკიცა მთავრობა, რომელშიც შედიან აგრარული კავშირის წარმომადგენელნი. მთავრობა შეადგინა მ. მიეტუნენმა.

ატლანტიკის ბლოკი ბონის გეგმით მოქმედებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა







ვაჟა-ფშაველა

მოგონება

შეწუხებული ერთხელა
სიმშილითა, სიტიტვლითა,
უსვენებლივ ჩამოვიჭერ
ქალაქშია სირბილითა,
ჭერ-ჭერობით გაჭირვება
ვერვის ვუთხარ სირცხვილითა.
ბოლოსა ვსთქვი... ჩემს ვაებას
ყველა შეხვდა სიცილითა
და მომიყვენ დარიგებას
ბუკითა და წინწილითა:
პოეტების წესიაო
უნდა მოკვდენ სიმშილითა,
მაშინ უფრო მათი ჩანგი
ჩვენ დაგვათრობს სიტკბილითა.
— კაცო, ძმაო, თუ მოვკვდები,
ჩანგმა ვით-ღა ხმა გამოსცეს?!
ბანკში ანტონს შემახვეწეთ,
რომ ადგილი რამე მომცეს.
პასუხისა ჩემის ნაცვლად
მომევლინა მაყაშვილი,
მან იმედის თაიგული
მომიტანა გადაშლილი:
და ეს მითხრა: „თქვენ სამსახურს
ვით გაკადრებსთ ქართვლის ერი?
უნდა ისე დაგინიშნოთ —
ცოტა იყოს ანუ ბევრი —
ჯამაგირი... შენ კი სწერო,
და იმღერო როგორც ჰმღერი!".
თან თავდებად დამიყენა
ულვაში და თავის წვერი.
წყლულსა გულსა მესალბუნა, —
სიტყვა იყო დასაჯერი!
მაგრამ შემდეგ, მოგახსენებთ,
სასიკვდილოდ დავიჭერი:
საკრებულომ დამინიშნა
სტიპენდია ერთი ხელი.
სამ თვეს შემდეგ ისე გაქრა,
როგორც ქარისაგან მტვერი.
ასეთს საქმეს კაცს არ უზამს,
მოსისხლეც რომ გყვანდეს მტერი.
დაიმალა მაყაშვილის
ულვაში და შავი წვერი.
ვენაცვალე დამბადებელს,
როდი მოვკვდი, დღესაც ვმღერი,
დროშას ისევ ვაფრიალებ,
როგორც ლაშარს ხევისბერი.
ისევ მიყვარს საყვარელი —
სამშობლოს მთა, მისი ველი,
მეჯავრება, ვით სიკვდილი,
ორ-პირი და კაცი გველი.
თუ ერთი სხვა დაიკვეხებს,
რომ იგია ქვეყნის მცველი,
უფლება მაქვს მასთან ერთად
დავახველო დასახველი,
და ვგონებ, რომ არ გამოჩნდეს
ამ მხრივ ჩემი დამძრახველი.
მაინცა ვარ და მაინცა
დიდი მიზნის დამსახველი.

ვაჟას ეს ლექსი ქვეყნდება პირველად.

გიორგი ლეონიძე,

საქართველოს სახალხო პოეტი

შუბლ-ეკალ-გვირგვინოსანი

შუბლ-ეკალ-გვირგვინოსანი,
ქართულად ვინა მღეროდა?
კლდის მონაკვეთი ვინ იყო,
არწივი ვისა სჯეროდა?

მთის ხერხემალი ვის ედგა,
დროშით ვინ შემოგვანათა!
მთებს ვინ ჰპატიჟობს საფლავშიც,
თან კლდეებს შავგვრემანათა!

ვინ იყო, ვისი საძირკვლის
ქვებიც რომ ლექსად გალობდნენ.
ვინ დააწერა წინაპართ
ძვლებს სიტყვა, —
მით რომ გალომდნენ!

ვინ იყო, ბობოქარობდა
ლექსში აბჯართა ჟღრიალით,
წყლულით ნაკვეთი ფანდურით,
სიმღერა — ნიაღვრიანი.

ბერ-წიფელს ქუდს ვინ უხდიდა,
ვის მისტირიან ირმები!
ვის სწყურის ზვავთა ნაჟური
პირიმზის სხივთა სირმები.

ვინ დადიოდა მშიერი,
ჩალა-ჩაგებულ ქალმებით,
ვინ შეეძმავა რუსთაველს,
დღეს ვის ფერფლს მივესალმებით?
— იქნება ვაჟა-ფშაველა!
ნაავადარი, ნაცივი, —
სილაღე საქართველოსი,
ორფრთაგაშლილი არწივი!

მთანი სწვევიან მთაწმინდას
ყველა ყვავილთა სურნელით,
დაუჩოქებენ ვაჟასა:
— კვლავ იყავ ჩვენი მზრუნველი!

მთებს რომ მოჰხვია სიმები,
მსოფლიოს გადასწვდენია,
ეყო ჩარგალის
ფარგალი,
აბრწყინდა ნათლის გენია,
სულ მარგალიტად ქცეულა
რაც ვაჟას ცრემლი სდენია!

ო, რა ძლიერი ხარ, მამულო საყვარელო, ვინ არ გეთაყვანება შენ! მუშა და გლეხი თავიანთი შრომის ბარაქით გამდიდრებენ და გამშვენიერებენ, სწავლული, მგოსანი და მხატვარი თავიანთი გონების ძალით გამაღლებენ და გადიდებენ. შენი ძალუმი სიყვარული შთააგონებს ადამიანს ყოველ კეთილსა და კარგ საქმეს...

ამ სიყვარულმა აალებინა მხატვარსაც ფუნჯი. იმუშავა მრავალი დღე და ათასი ფერით ამეტყველებულ სურათს **„სამშობლოს თაყვანისცემა"** დაარქვა.

დედა, რომელსაც პირბადრი ყრმა უჭირავს ხელში, საქართველოა, დღევანდელი, ახალი საქართველო. ის ყრმა კიდევ უფრო ბედნიერი მომავალია. იქვე გვერდით დგას მხნედ-მთესველი თუ გუთნისდედა, რომელიც თავისი შრომის გულუხვი ნაყოფით დატვირთული მოსულა. ამომავალი მზის შუქით განათებული ხარაჩოებიდან დედას კირითხუროები და მუშები დასცქერიან. დედის კალთას ამოფარებული პატარები კი ახალი ცხოვრების წიგნის კითხვით გართულან.

სამშობლო მარტო აწმყო როდია, ასე ფიქრობს მხატვარი, და ქმნის უმშვენიერესი სერაფიტას სახეს, რომელსაც თითქოს ცრემლი უბრწყინავს თვალში. იგი მკვდრეთით აღუდგენია მხატვრის ფუნჯს და საქართველოს უძველეს წარწერებს დასცქერის. **„საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა"**, ასე ეწოდება ამ ნაწილს.

ადამიანმა ველარ აიტანა ბედის დაცინვა და შაშხანას წამოავლო ხელი. იგი თავისუფლებისა და ბედნიერების მოსაპოვებლად აღდგა. მან ააფრიალა ჩვენს ცა-ფირუზ და ხმელეთ-ზურმუხტ სამშობლოში ახალი ცხოვრების დროშა. მხატვარმა სურათის ამ მესამე ნაწილს დაარქვა: **„საქართველოში კლასობრივი ბრძოლის შედეგად დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება"**. (დუშეთის აჯანყება).

ეს სამნაწილიანი ფერწერული კომპოზიცია (ტრიპტიხი) მხატვარ **ირაკლი თოიძეს** ეკუთვნის.

მნახველი სიამოვნებით ათვალიერებს ირაკლი თოიძის ამ შესანიშნავ ტრიპტიხს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მოწყობილ საიუბილეო გამოფენაზე — „საბჭოთა საქართველო".

ვაჟა-ფშაველას არქივიდან

ხელნაწერებში ნაპოვნი მარგალიტები

„კომუნისტის" ფურცლებზე ვაჟა-ფშაველას გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების დაბეჭდვის გამო

◆

ქართველ კლასიკოსთა თხზულებების აკადემიური გამოცემის საქმე, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო დონეზე: ბევრი ჩვენი კლასიკოსის ნაწერები სრული სახით გამოცემული არ არის, წამოწყებული კრებულების გამოცემა კი ათეულ წლობით ჭიანურდება. ამ ფონზე ფრიად სასიხარულო გამონაკლისია ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის გამოცემა, რომლის ხუთივე ტომს მკითხველი დიდი პოეტის საიუბილეო დღეებში მიიღებს.

ეს გამოცემა დასაბეჭდად მოამზადა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებამ (ხელმძღვანელი ს. ყუბანეიშვილი). გამოცემის რედაქტორია საქართველოს სახალხო პოეტი, აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე. ტექსტი დადგენილია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატების ც. კალაძის, ე. შარაშენიძის, ლ. სანაძისა და სხვათა მიერ.

ახალი გამოცემა სრულად წარმოგვიდგენს ვაჟა-ფშაველას მხატვრულ მემკვიდრეობას და ბევრ ისეთ ნაწარმოებსაც შეიცავს, რომლებიც დღევანდლამდე არ ყოფილა ცნობილი.

გაზეთმა **„კომუნისტმა"** ბოლო დროს რამდენიმე ნომერში (იხ. № 138—18/VI, № 152—7/VII, № 158—14/VII, 1961 წ.) გააცნო მკითხველებს ვაჟა-ფშაველას გამოუქვეყნებელი მოთხრობები „კაკალი" და „მამაცი", პუბლიცისტური წერილი „რა არის თავისუფლება" (ე. შარაშენიძის პუბლიკაციით) და ლექსები (ჩემი პუბლიკაციით): „პატარა მწყემსის სიმღერა", „ზღვა დამდგარიყო ცრემლისა", „საით გეძებო, არ ვიცი", „დათვი", „მოვიდენ, მოდგენ აჩრდილნი", „ანკარა წყარო", „დედა მიყვარდა (სიმღერა)", „გულზე წყლულები გამრავლდა" და „მადლობელი ვარ". ამათგან მხოლოდ ერთი („მოვიდენ, მოდგენ აჩრდილნი") წარმოადგენს ადრე ცნობილი ლექსის „ზმანებას" ვარიანტს, დანარჩენები კი სრულიად უცნობი იყო.

ბუნებრივია, „კომუნისტის" მკითხველებს აინტერესებთ, სად არის დაცული ვაჟას ამ ნაწარმოებთა დედნები და რატომ აქამდე არ ყოფილა ისინი გამოქვეყნებული.

ვაჟა-ფშაველას თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველ ტომზე მუშაობის დროს ჩვენ მოგვიხდა დაწვრილებით შეგვესწავლა მწერლის ხელნაწერები, რომლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობით არის დაცული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში და საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. როგორც ერთგან, ისე მეორეგან აღმოჩნდა საკმაოდ ბევრი უცნობი მასალა: მანამდე მხოლოდ ნაბეჭდის სახით ცნობილ ნაწარმოებთა ავტოგრაფები, რომლებიც დიდად დაგვეხმარა ტექსტის დადგენის დროს, აგრეთვე — დაუმთავრებელ თხზულებათა ნაწყვეტები და ცალკეული დასრულებული ნაწარმოებები, რომლებიც არ შესულა ვაჟას თხზულებათა წინანდელ გამოცემებში და, როგორც ჩანს, არც თავის დროზე ყოფილა სადმე პრესაში გამოქვეყნებული.

გამოუქვეყნებლობის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს: ზოგ შემთხვევაში დამნაშავედ იმდროინდელი მკაცრი ცენზურული პირობები უნდა მივიჩნიოთ. ალბათ ამ მიზეზით ვერ გამოაქვეყნა პოეტმა, მაგალითად, ლექსი „დათვი", სადაც დაჭრილი დათვის სახით უეჭველად ცარიზმია ნაგულისხმევი.

ზოგიერთი ნაწარმოები ვაჟას გაგზავნილი ჰქონია რედაქციებში, მაგრამ მათ დაბეჭდვაზე ამა თუ იმ მიზეზით უარი უთქვამთ. ასეთია, სახელდობრ, მოთხრობა „კაკალი", რომელიც მწერალს ჟურნალ „ნაკადულში" მიუტანია, მაგრამ, როგორც ამ ჟურნალის რედაქტორი ნ. ნაკაშიძე აღნიშნავს თავის მოგონებებში, რედაქციას ეს მოთხრობა საბავშვო ჟურნალისათვის შესაფერად არ მიუჩნევია და არ დაუბეჭდავს. სიცოცხლის ბოლო ხანებში (1912 წ.) დაწერილი ეს მოთხრობა ვაჟას გამოუქვეყნებელი დარჩენია. მისი ავტოგრაფი, რომელიც ნ. ნაკაშიძესთან იყო დაცული, მხცოვანმა მწერალმა ამ რამდენიმე წლის წინათ გადასცა ლიტერატურულ მუზეუმს.

ვაჟას ხელნაწერებში აღმოჩენილი ზოგიერთი ნაწარმოები არ არის საბოლოოდ დამუშავებული და დახვეწილი. როგორც ჩანს, მწერალი კიდევ აპირებდა მათზე მუშაობის გაგრძელებას და ამიტომ არ გამოუქვეყნებია. ზოგი ლექსი საერთოდ არ არის დასრულებული. ასეთია, მაგალითად, „განგაში", რომელიც, დასრულებული რომ იყოს, უეჭველად ვაჟას შედევრებს ამოუდგებოდა მხარში. აი, ამ ლექსის დასაწყისი:

გალმიდან კაცი იძახის
უჩინო, პერანგიანი:
„სადა ხართ, არდოტელებო,
აღარვინა ხართ ხმლიანი?!
დალისტნის ჯარი დაგვეცა,
დიდი მოგველის ზიანი.
დიაც-ყმაწვილი წარტყვევნეს,
ნამკალი დარჩა ტიალი.
აჩქარდით, ვინაც ვაჟნი ხართ,
ქალი არა ხართ თმიანი, —
თუ გადაგვასწრეს პირიქით,
ჩვენთვის აღარა დღე არი.
მოგვიკლეს მეხაროვნეცა,
ხაროვან გაირეკესა.
აჩქარდით, ვაჟნო, აჩქარდით,
ნუ გავალაღებთ ლეკებსა!"
ხმა გატყდა მტრიანობისა, —
აღელვდა მთელი სოფელი.
ერთიც არ დარჩა სახლშია,
აბჯარს ერევა რომელი.
აკვნებში დარჩენ მარტოდა
ბალღები ძუძუ-მწოველი.
მეტი არ იყო სოფელში, —
ოცი მოქუჩდა ხმლიანი.
ამლათად ამაირბინეს
არდოტის თავი კლდიანი...

დამთავრებული არ არის ვაჟას ლექსი „მოგონება". მაგრამ მისი პირველი ნაწილი იმდენად დასრულებულ სახეს ატარებს და ისე მნიშვნელოვანია პოეტის ბიოგრაფიისათვის, რომ მას მთლიანად აქვე ვაქვეყნებთ. ამ ლექსში პოეტი გადმოგვცემს, თუ რა გაჭირვებაში უხდებოდა მას ცხოვრება და მისი დახმარების მსურველი ქართველი ინტელიგენციაც როგორ ვერ ახერხებდა მისთვის ხელის გამართვას. ლექსში მოხსენიებული **ანტონი**, ვაჟას განმარტებით, **ანტონ ფურცელაძეა**, ხოლო **მაყაშვილი** — პოეტი **კოტე მაყაშვილი**. ეს ლექსი და ზოგი სხვა ანალოგიური მასალა, ვფიქრობთ, პოეტს გამოსაქვეყნებლად არ ჰქონია გამიზნული.

მოკლედ რომ ვთქვათ, ვაჟა-ფშაველას ხელნაწერებში მრავალი უცნობი და საინტერესო მასალა იქნა მიკვლეული. მათ შორის აღმოჩენილი ზოგიერთი დაუბეჭდავი ლექსი, როგორიც არის, მაგალითად, „ზღვა დამდგარიყო ცრემლისა", „გულზე წყლულები გამრავლდა" და სხვანი, პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებია და ვაჟას რჩეულ ნაწარმოებთა დონეზე დგას. თავის დროზე მათი დაუბეჭდაობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ ბეჭდვის იმ ცუდი პირობებით, რაც რევოლუციამდე სუფევდა საქართველოში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა გამოცემის საქმეს დიდი ამაგი დასდო პოეტმა ალ. აბაშელმა, რომლის რედაქტორობითაც გამოიცა ვაჟას თხზულებათა შვიდი ტომი. ალ. აბაშელმა შეისწავლა ვაჟას არქივი და მრავალი გამოუქვეყნებელი ნაწარმოები აღმოაჩინა, რომლებსაც ცალკე განყოფილება დაუთმო მწერლის თხზულებათა მეორე ტომში. მაგრამ უამრავ ხელნაწერთა შორის, ცხადია, ერთბაშად ძნელი იყო ყველა უცნობი ნაწარმოების მიკვლევა და გამოვლინება. აღსანიშნავია ისიც, რომ ვაჟას ზოგი ავტოგრაფი ჩვენმა მუზეუმებმა გვიან შეიძინეს. ამჟამად მკითხველს საშუალება ეძლევა უფრო სრულად გაიცნოს ჩვენი დიდი პოეტის მხატვრული მემკვიდრეობა.

ზურაბ ჭუმბურიძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

კინოფესტივალის ეკრანზე

ВТОРОЙ МЕЖДУНАРОДНЫЙ КИНОФЕСТИВАЛЬ 1961

მოსკოვი, (საქდესი). შესაძლოა, ყველაზე ძვირფასი მოსკოვის კინოფესტივალზე ის არის, რომ იგი ეხმარება მსოფლიოს ხალხებს უფრო ახლოს გაიცნონ ერთმანეთი. ადამიანთა ბედი, რასაც ვხედავთ ნათელ სწორკუთხოვან ეკრანზე საკონკურსო გასინჯვის დროს, ან გვაღელვებს, გვახარებს, ან მწუხარებისა და გულისტკივილის კვალს სტოვებს ჩვენს სულში.



მოჰაეედ რიფი
(მაროკო)

✦

ჩინური ფილმის „რევოლუციონერის ოჯახის" (რეჟისორი შუი ხუა, სცენარისტები სია იანი და შუი ხუა, ოპერატორი ციან ძიანი) წარმატება, რომელიც 13 ივლისს საღამოს უჩვენეს, ეს უწინარეს ყოვლისა დიდი მსახიობი ქალის იუი ლანის წარმატებაა. თავის გმირს — ჩინელი რევოლუციონერის მეუღლეს, უბრალო ქალს, რომლისთვისაც თავდაპირველად უცხოა ქმრის მოთხოვნები, იგი გვიხატავს გულითადად, ძლიერად და უბრალოდ, განსაკუთრებული გულწრფელობით.

ამავე საღამოს ინგლისის დელეგაციამ მაყურებელს უჩვენა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოსკარ უაილდის პროცესი". (რეჟისორი და სცენარისტი კენ ჰიუზი, ოპერატორი ტედ მური).

დღეს ღამით კინოფესტივალზე რუმინეთის დელეგაციამ დიდი დარბაზობა გამართა. სტუმრები მიიღო დელეგაციის მეთაურმა რეჟისორმა ლივიუ ჩულეიმ.

ამერიკელი პროდიუსერები ესაუბრებიან ჩინელ კინემატოგრაფისტებს ფილმზე „რევოლუციონერის ოჯახი", რომელიც დღეს უჩვენეს „რუსეთში". გერმანელ მსახიობს ანა კატრინ ბიურგერს აინტერესებს საბჭოთა რეჟისორის ს. ა. გერასიმოვის აზრი მისი უკანასკნელი ნამუშევრის შესახებ.

განსაკუთრებით ბევრი ხალხია დარბაზის იმ კუთხეში, სადაც საბჭოთა რეჟისორი მ. კ. კალატოზოვი არის. მისმა ფილმმა „მიფრინავენ წეროები" ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს ეკრანები და ათასობით ახალი მეგობარი შესძინა რეჟისორს. ბევრი მათგანი, მოსკოვში ჩამოსულნი, ცდილობენ უფრო ახლოს გაიცნონ კინოს ეს დიდი ოსტატი, გაიგონ მისი შემოქმედებითი გეგმები და მისწრაფებანი.

შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ დარბაზობაზე მოსულ ცნობილ ამერიკელ მსახიობებს ელიზაბეტ ტეილორსა და ედი ფიშერს.

წინა დღეს ასევე გულთბილ ვითარებაში ჩაიარა დარბაზობამ, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ გამართა.

ფესტივალის მონაწილეები, სტუმრები, ჟურნალისტები, მოსკოველები, რომლებიც ასე გულთბილად შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფილმს „პროფესორ მამლოკს", დღეს შეიკრიბნენ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც ამ რესპუბლიკის დელეგაციამ გამართა. შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ დელეგაციის მეთაურს — კინოგაერთიანების დირექტორს ერნსტ გოფმანს, დეფას სტუდიის დირექტორს ალბერტ ვილკენინგს, სტუდიის მთავარ რედაქტორს კლაუს ვიშნევსკის, ფილმის „პროფესორ მამლოკის" რეჟისორს კონრად ვოლფს, პროფესორ მამლოკის როლის შემსრულებელს ვოლფგანგ ჰაინცსა და სხვებს.



ვალიედინ იუსუფ სამიხი
(არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა)

მეგობრული შარჟები ჩვენი
სპეციალური კორესპონდენტის
გ. ფირცხალავასი.

✦

ალბერტ ვილკენინგმა განაცხადა, რომ რესპუბლიკაში ერთი წლის განმავლობაში შექმნილია 28 ფილმი კინოეკრანისათვის და 23 — ტელევიზიისათვის.

ერნსტ გოფმანმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა, რომ მონაწილეობს მოსკოვის ფესტივალში, რომელიც სახავს შემოქმედებითი შეხვედრების, იმ პრობლემების განხილვის ფართო შესაძლებლობებს, რომლებიც აღელვებენ კინოხელოვნების მუშაკებს.

სურათზე: კინოფესტივალის მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ) იტალიელი კინომსახიობი ჯინა ლოლობრიჯიდა, საბჭოთა კინომსახიობი სერგი ბონდარჩუკი, იტალიელი კინომსახიობი მარიზა მერლინი.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

1861-1961

26 ივლისს ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავია

საბედისწერო შეცდომა

ვის არ უყვარს ბავშვები, მით უმეტეს ასეთი ცქრიალა, თვალებციმციმა.

— შენ გოგო ხარ?

— არა!

— მაშ?

— ბიჭი!

— ბიჭი არა?!.

— ხომ ბიჭი ვარ, დედა... — დაუბღვირა თითისხელამ ქალს. თითქოს უთხრა — შენ ხომ იცი ბიჭი ვარ თუ გოგო, რატომ ხმას არ იღებო.

— ბიჭი ხარ, ბიჭი, მაგრამ ბიძია ნუ შეაწუხე...

...ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა. ქალი იქნებოდა ასე ოცდახუთი, ოცდაექვსი წლისა. ეს მოხდა გემზე სოხუმსა და ბათუმს შუა. მას შავები ეცვა. მამა მომიკვდაო.

მგზავრობამ იცის შეყოლა, უცბად გააახლოებს ადამიანს. ქალმა გულახდილად მიამბო ერთი შეცდომის შესახებ, რომელსაც თვითონ საბედისწერო შეცდომა უწოდა.

არ ვიცი, საბედისწეროა ეს შეცდომა თუ არა, ვიცი, რომ ასეთი შეცდომა არა ერთსა და ორს მოსვლია. ისიც ვიცი რომ ბევრი ამას სხვის დანაშაულად თვლის... ჩივის თავს იმართლებს...

აი ეს შეცდომაც.

იგი ზღვისპირა ქალაქში ცხოვრობდა, მშობლებთან. არც ართვალი იყო და არც მზისწუნია, მხიარული, გულიანი, ამხანაგების მოყვარული, ჩვეულებრივი, ათასის მსგავსი კარგი გოგო. სკოლა დაამთავრა, მუშაობა დაიწყო, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში პირველ წელს ვერ ჩააბარა გამოცდა, მეორე წელიწადს ჩარიცხეს...

სწავლობდა, მუშაობდა და იცინოდა, იფიქრებდით „ჭრიჭინას“ სიმღერა მისთვის დაუწერიათო... ერთ მშვენიერ დღეს გაიცნო ბიჭი, მაღალი, წითელპერანგა (ბევრია ახლა ასეთი მოხდენილი ბიჭები) და ქალის „დელი, დელი, დელასა“ სამუდამოდ შეწყდა. ბიჭი ინჟინერი იყო, თბილისელი, ლამაზი და ენამოქარგული იგი მალე ქალიშვილის ოჯახსაც გაეცნო.

ვინ არის დამნაშავე?

ხელის მოწერაზე რომ ჩამოვარდა ლაპარაკი, ქალმა უთხრა ვაჟს:

— მეზიზღება მეშჩანები, ხელის მოწერას რა ჭკუა აქვს, განა ქორწინების რეგისტრაციის ბლანკია ოჯახი, სიყვარული, მეგობრობა?!

მართლაც, რას მიქვია ქაღალდი, ადამიანი გიყვარს, რა მნიშვნელობა აქვს მმაჩის ბიუროს, სიყვარულისათვის არ არსებობს დაწერილი კანონები. ასე იფიქრა გულმართალმა ქალიშვილმა და მშობლების უნებართვოდ საქმროს თბილისში წამოჰყვა.

კეთილი ხალხი აღმოჩნდა ვაჟის მშობლები, სიყვარულით მიიღეს იგი, და დიდი ქორწილიც გამართეს, მერე ქალმა თავისი განაწყენებული მშობლებიც შეირიგა.

ოჯახში მალე ახალი სიცოცხლის მოლოდინი დაიწყო. ბიჭი გაჩნდა მართალია, მაშინვე რეგისტრაციაში ვერ გაატარეს, ქორწინების ცნობა იყო საჭირო, მაგრამ ეს საქმე მამამ იკისრა და მიაფუჩეჩა, ისე კი, ბიჭს ბაბუის სახელი დაარქვეს და ძეობაზე მამას ყურიც ბევრჯერ აუწიეს.

ყურიც უნდა აუწიო ასეთ მამას და თავიც უნდა მოსჭრა, მაგრამ ვაი რომ მორალურ სამართალს სხვა სასჯელი არა აქვს. ერთი წელიც არ გასულა, და ბიჭმა გული აიყარა ოჯახზე, სახლში არ შედიოდა, ლოთობდა, ჩხუბობდა, ერთ მშვენიერ დღეს ქალს განუცხადა, ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ ჩვენი გზები გაყრილია, მადლობა ღმერთს, ოფიციალურად ამის გაფორმება არ გვჭირდებაო და კარი გაუღო...

რა უნდა ექნა თავმოყვარე ქალს?

ბავშვით ხელში სად ჰქონდა კარი ღია? გაუჭირდა, მაგრამ ისევ მშობლებს მიაშურა. მუშაობა დაიწყო, ინსტიტუტში თავი აღიდგინა და... ზრდის ბიჭს, ამ ცქრიალა, თვალებციმციმას.

— ეს ჩემი საბედისწერო შეცდომა იყო, და სასჯელს ვიხდი, აი ჩვენი მოსამართლე... გაიზრდება და...

და თვალით მანიშნა ბიჭზე, რომელიც იქვე გემბანზე იჯდა.

იმ დღეს მან მიამბო იმ კარგ ახალგაზრდაზე, იმ კეთილ, მოსიყვარულე ბიჭზე, რომელსაც ადრე ჰყვარებია იგი, იქვე საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა თურმე, ისიც მითხრა სად მუშაობს, ვინ არის, რომ „ბიჭის მამასთან“ დაშორების შემდეგაც მან კვლავ სთხოვა ცოლობა, რომ ის ძალიან კარგი ბიჭია, მაგრამ მაინც მტკიცე უარით გაისტუმრა...

რამდენიმე საჩივარი მქონდა ულირსი მამებისა და ქმრების შესახებ. პროკურატურის მასალები და განცხადებები იყო, უმეტესად ქალების საჩივრები. ბევრი სრულიად სამართლიანად ჩიოდა, ზოგი ალიმენტს, ზოგი ბინას, ზოგიერთი, ქორწინების რეგისტრაციაში გაუტარებლად გათხოვილი და გამოთხოვილი, მფარველობასა და კანონიერი ცოლის უფლებებს მოითხოვდა.

არცერთი მათგანი იოტის ოდენადაც არ გრძნობს თავის დანაშაულს, და ამ გადაჭრელებულ განცხადებებში ერთი სიტყვაც არ არის თავისი დაუფიქრებელი ნაბიჯისა და შეცდომის შესახებ, მაშინ როდესაც ზოგან პირდაპირ სტრიქონებს შუა გამოსჭვივის ქალის ზერელე საქციელი, რამაც ამ სავალალო შედეგამდე მიიყვანა ისინი.

ემიკო ჯიბლაძემ და ლაურა ხუსკივაძემ ხელმოუწერლად იქორწინეს, ნათესავებმა მოაგვარეს ეს „საქმე“. მხოლოდ თამადამ დალოცა მათი გვირგვინი, ბევრი კეთილი სურვილი გამოითქვა. სიტყვიერად ქალ-ვაჟს ცოლ-ქმარი უწოდეს და ყველამ თავის სახლკარს მიაშურა.

დარჩნენ ემიკო და ლაურა. ერთხანს კარგად იცხოვრეს, ცოტა ხნის შემდეგ „ქმრად“ წოდებულმა ქალი სახლიდან გააგდო. (დიახ გააგდო!).

ვინ იტყვის ე. ჯიბლაძის სასარგებლო სიტყვას, ვის უნდა ჯიბლაძის დაცვა, მაგრამ რას ფიქრობდა ლაურა, რას ფიქრობდა ქალი! განა ქალს კი შეჰფერის ნაჩქარევი და წინდაუხედავი საქციელი?

ლუბა უჩანეიშვილიც ყოველგვარი ოფიციალური ქორწინების გარეშე წაჰყვა ირაკლი ხოშტარიას. მან არც კი იცოდა, რომ ირაკლის კანონიერი ცოლი ჰყავდა, რომელთანაც განქორწინებული არ იყო.

ახალგაზრდა საქმრომ სამტრედიაში მოჭრა თვალი ლუბას, ამიტომ ნიშნობაც სამტრედიაში გაიმართა, ქორწილი კი თბილისში. როცა ხელისმოწერაზე მიდგა საქმე, ირაკლი ქალს გამოუტყდა. ასეა ჩემი საქმე, ცოლიანი ვარ, სულ მალე გავქორწინდები და შენთან მოვაწერ ხელსო. არ გასულა ორი თვე, და... ირაკლიმ ხელმოუწერელი „მეუღლე“ სახლიდან დაითხოვა.

არის თუ არა დედა იმ შვილის წინაშე დამნაშავე, რომელსაც მამა კიდეც ჰყავს და კიდეც არა!

საჩივრებმა და ამ ქაღალდების მიღმა ადამიანებმა გაციებული ლანდებივით გაიქროლეს თვალწინ. ხმა არ დამიძრავს. ჩემი ამბავი გამომკითხა და სევდანარევი, დამცინავი ღიმილით მითხრა:

— არ დამღუპოთ, გაზეთში არ დამწეროთ! — მერე ბიჭს დასწვდა და ხელში აიყვანა.

შავები უხდებოდა, კეთილშობილი ჩანდა, მასში იყო რაღაც დიდი, რაღაც სათნო და დედური... ქარი უწეწდა თმას, ბიჭი ეხვეოდა.

აი ჩვენი მოსამართლე!.. თითქოს მოსწყდა ბაგეს.

აი ჩვენი მოსამართლე... თითქოს მოიტაცა ზღვის ქარმა ეს სიტყვები და საქვეყნოდ გაიტანა ამ ამაყი ქალის გულისნადები...

ვნახე ის ახალგაზრდა მექანიკოსი, რომელიც ოდესღაც „იქვე, საერთო საცხოვრებელში“ ცხოვრობდა. არც თუ ისე შემთხვევით. სხვა საქმე გავიჩინე და იმ ქარხანაში მივედი, გავიცანი. მითხრეს, მოწინავეა, რაციონალიზატორი, ასეთი და ასეთი ბიჭიაო.

თქვენ რა იცით... თქვენ კიდევ რა იცით, რა ბიჭია... რა ადამიანი! ვფიქრობდი, მაგრამ ხმის ამოღება ვერ გავბედე. ვისა აქვს უფლება სხვის სულში ხელი აფათუროს. ამიტომ არ ვახსენებ მათს სახელებსაც.

იქნებ თვითონ იცნონ თავიანთი თავი და ამ სტრიქონებმა სიკეთე მოუტანოს ვინმეს...

რ. დვალიშვილი.

ფელეტონი

მე, ზღვა, ძაღლი და პავილიონი

თბილისის ზღვაზე წავედი
დასასვენებლად კვირადღეს,
თქვენ არ იფიქროთ, რასაც ვწერ,
თითქოს ეს სხვებმა მიამბეს, —

არა, მე თვითონ გადამხდა:
გზაზე მიქრიან „ვოლგები“,
ზღვის პირს დავიწვი მზისაგან
ვერ ვნახე „სოკო-ქოლგები“.

ბავშვი და ძაღლიც თან მახლდნენ,
ერთად ვიბანეთ ხალისით,
თუმც ამოსვლისას წამოგვყვა
ბლომად ტალახი ალიზის.

აფსუს, აქ სადმე რომ იყოს
აქა-იქ სილა ნაყარი,
რა მშვენიერი იქნება
თბილისის პლაჟი ახალი!

გულს გვიგრილებდა ნიავი
შორით მოსული იორის,
მოგვშივდა, მოვინახულეთ
ცისფერი პავილიონი.

მიმტანს ველოდით საათი,
ლაწა-ლუწია! რა მოხდა?!
ბიჭი კი არა, ძაღლიც კი
შეშინებული წამოხტა!

მტვრევა, რტყმევა თუ ყვირილი,
ჩემს ფეხთან კაცი აგდია,
— თავს უშველოთო, — ბიჭმა თქვა, —
თორემ მოგვკლავენ, ნაღდია!

შეიქნა ჩხუბი ფიცხელი,
ახმახი ჩემს ბიჭს დაეცა.

— მამიკო, მკლავენ! — იყვირა.

— რა მოგივიდათ, დაიცათ! —

ვიყვირე, მაგრამ ვის ესმის,
ბავშვი გაჭყლიტეს მგონია,
თავზე და ტანზე რა მესხმის —
მარგარინი თუ ქონია?!

— სხვაგან გადავჯდეთ! ავდექით
დაჯდომა გვინდა კუთხეში,
ბავშვი შეშინდა საწყალი
ფერზე ვერ მოვა ხუთ დღეში!

უცბად კვლავ ატყდა ხორხოცი,
მიმტანმა ბევრი იწვალა...
ლუდი ილვრება, ძირს ჰყრია
სულგუნი, კიტრი, წიწილა!

ძაღლმა იხელთა მშიერმა
წიწილს დაავლო პირია:
— დაიჭით, არსად გაუშვათ... —
მიმტანნი ერთხმად ყვირიან.

— სად არის ძაღლის პატრონი,
ფული არა სურს დახარჯოს?
ძაღლი ვისია, ახლავე
წიწილის ფული დაყაჭოს! —

გამოვიპარე მშიერი,
ქალაქში წასვლა არ გინდა?
ვერსად ჩავჯექი ტრანსპორტში,
ფეხით წავიდე? დაბინდდა!

ბოლოს გამოჩნდა ნაცნობი,
და იმან ჩაგვსვა ვილისში,
დავლოცეთ ორი ივლისი
და წამოვედით თბილისში.
იქვე შენობა შევნიშნე:
— აქ რაა? — ვკითხე მეგობარს,
— მილიციაა! — მომიგო.
სირცხვილად ესეც გვეყოფა!

კ. გოგიაშვილი.

მკითხველთა ანდაზები

△ ის ურჩევნია მამულსა, ფულში არ ვცვლიდეთ ნამუსსა.

ა. ფოცხვერაშვილი
(ზესტაფონი)

△ მწერალს დაწერა უჭირდა და მკითხველს წაკითხვაო.

△ მელიას და რევიზორს თვალი ორივეს საქათმისაკენ ეჭირაო.

გ. გიორგაძე
(სამტრედია)

△ ასანთმა ქვეყანა გაანათა და მისი ფასი ისევ კაპიკი იყოო.

გ. ანდრიაძე
(დიდი ჯიხაიში)

△ ტომარა სავსე იბნევა, კაცი კი ცარიელიო.

შ. მაღალაშვილი
(ცოპორტა)

△ მშობელი შვილს ემდუროდა, იყო მისი გამზრდელიო...

თ. პეტურიშვილი
(თიანეთი)

ნაკვესები

— ბიჭო, საკუთარ კარში გაიტანე ბურთი?

— აბა მოწინააღმდეგის კართან ვინ მიმიშვებდა.

რ. ლვინჯილია
ქ. ტყიბული.

ხელოვნების ქრონიკა

△ **თელავი.** (საკ. კორ.). კოტე მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრმა თელავში დადგა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის კომედია „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

როლები შეასრულეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ვ. ნინუამ, გ. კოსტავამ, მსახიობებმა ლ. ანთაძემ, ე. ვერულეიშვილმა, ბ. მიმინოშვილმა და სხვებმა.

თეატრის კოლექტივი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“ უჩვენებს აგრეთვე ახმეტის, ყვარლისა და სხვა რაიონების მშრომელებს.

△ **ფოთში** წარმატებით მიმდინარეობს თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები. მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა ოპერეტამ „მხოლოდ შენ ერთს“ (მუსიკა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შ. მილორავასი, ლიბრეტო ლ. ჭუბაბრიასი), რომლითაც გაიხსნა გასტროლები.

წარმატება ხვდა წილად აგრეთვე შ. ჯოჯუას „ორ ქალიშვილს“, შ. მილორავას „სიმღერა თბილისზე“, ვ. კურტიდის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. გასტროლების პერიოდში თეატრი უჩვენებს 10 ოპერეტას და გამოსათხოვარ საღამო-კონცერტს.

ა. კომახიძე.

ინგურის პირას

ფოტოეტიუდი ბ. სოკოლოვისა.

„საუკუნის მატჩი“

მოსკოვი. 15 ივლისი. (ტელეფონით). გიგანტთა ბრძოლა, ანუ „საუკუნის მატჩი“ — ასე უწოდებენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ასპარეზობას. და ამაში გასაკვირველი არაფერია, რადგან სწორედ ამ ქვეყნების წარმომადგენლებს ეკუთვნით მსოფლიოს რეკორდების უმრავლესობა.

საბჭოთა და ამერიკელ მძლეოსანთა შეხვედრები, ნაკრები გუნდების მატჩები პირველი როდია. ამ შეჯიბრებამ უკვე ფართოდ გაიდგა ფესვები, როგორც ჩვენთან, ისე ამერიკაში და ტრადიციული გახდა. ტიტანთა ეს ბრძოლა იმითაც არის საყურადღებო, რომ მას თითქმის ყოველთვის თან სდევს მაღალი სპორტული მაჩვენებლები — სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ახალი რეკორდები.

მატჩი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა მძლეოსნების ნაკრებ გუნდებს შორის მესამედ იმართება. ზედმეტი არ იქნება თუ განვლილი ორი ასპარეზობის შედეგს მოვიგონებთ — 172:170, 175:167 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

ამ გუნდების მესამე მატჩი, რომელიც დღეს საზეიმოდ გაიხსნა მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, წინა შეხვედრებისაგან იმით განირჩევა, რომ ამჯერად ჩათვლა ხდება ცალ-ცალკე ქალთა და ვაჟთა გუნდებისათვის.

სპორტსმენთა პარადისა და მისალმებათა შემდეგ შეჯიბრება დაიწყო. სტარტზე გამწკრივდნენ სპრინტერები. სტარტიორის ნიშანზე ადგილიდან მოწყდნენ 100 მეტრზე მორბენალი ქალები. ფინიშთან პირველი იყო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი რუდოლფი. მან აჩვენა დრო — 11,3 წამი. მოკლე და საშუალო დისტანციებზე სტუმრებს ძლიერი სპორტსმენები ჰყავთ, ამიტომ ვაჟთათვის 100 მეტრზე რბენაშიც მათი წარმომადგენელი ბრადტი გამოვიდა (10,3 წამი).

პირველი გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებს ჩენჩიკმა მოუტანა გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის (175 სანტიმეტრი). 400 მეტრზე რბენაში პირველობა ამერიკის გუნდის წარმომადგენელს უილიამს ხვდა. მან აჩვენა დრო — 46,7 წამი. შუბის ტყორცნაში ქალთა შორის უძლიერესი იყო საბჭოთა მძლეოსანი ოზოლინა — 54 მეტრი და 79 სანტიმეტრი.

ათეულ ათასობით მაყურებელთა საერთო ინტერესი გამოიწვია ამანათრბენმა 4×100 მეტრზე ქალთა და ვაჟთა გუნდებისათვის. ვაჟთა ორივე გუნდმა მძლეოსნური სპორტის ამ სახეობაში გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი. ამერიკელებმა აჩვენეს დრო 39,1 წამი და პირველი ადგილი დაიკავეს. საბჭოთა სპრინტერების დროა 39,4 წამი. ქალთა გუნდების ასპარეზობაში გამარჯვება კვლავ სტუმრებს ხვდათ. მათი დრო — 44,3 წამი ახალი მსოფლიო რეკორდია. საბჭოთა მორბენლებმა აჩვენეს შედეგი—44,5 წამი და სსრ კავშირისა და ევროპის ახალი რეკორდი დაამყარეს.

სამხტომში პირველი იყო სსრ კავშირის გუნდის წევრი კრეერი. იგი გადახტა 16 მეტრსა და 68 სანტიმეტრზე. ჭოკით სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვება ამერიკელმა ჯონ ოლფორდმა — 4 მეტრი და 69 სანტიმეტრი.

მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ ცნობილი საბჭოთა მძლეოსანის თ. პრესის გამოსვლას ბადროს ტყორცნაში. თ. პრესმა ბადრო ტყორცნა 57 მეტრსა და 43 სანტიმეტრზე და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. უროს ტყორცნაში პირველი ადგილი დაიკავა რუდენკომ (სსრ კავშირი).

პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ ვაჟთა შორის 10 ქულით წინ არიან ამერიკელი მძლეოსნები, ქალთა შორის ამდენივე ქულის განსხვავებით — საბჭოთა სპორტსმენები.

დღეს გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები.

მეგობრული შარჟები ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის
გ. ფირცხალავასი.



რალფ ბოსტონი


To the people:-
I wish happiness, good health and long life to the Georgian readers
John Thomas

ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ ქართველ მკითხველებს
ჯონ ტომასი.

შეხვედრა

ქართული კულტურის საზღვარგარეთელ პროპაგანდისტებთან

საქართველოში იმყოფებიან კულტურის თვალსაჩინო საზღვარგარეთელი მოღვაწეები — ქართული კულტურის აქტიური პროპაგანდისტები. ესენი არიან ცნობილი რუმინელი პოეტი ვიქტორ კერნბახი, უნგრელი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე, საზოგადოება უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის თარგმანის სექციის თავმჯდომარე დიორდ რადო და მისი მეუღლე — მსახიობი მ. რადო.

ჩვენი სტუმრები ქართული კულტურისა და ლიტერატურის დაუცხრომელი პოპულარიზატორები არიან. ისინი სწავლობენ ქართულ ენას და თავიანთ მშობლიურ ენაზე თარგმნიან ჩვენი კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

და აი 14 ივლისს გაიმართა ქართველ მწერალთა შეხვედრა ძვირფას სტუმრებთან.

შეხვედრა გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა კრიტიკოსმა ს. ჭილაიამ.

— მე სტუმრად როდიღა მიმაჩნია თავი საქართველოში, — თქვა საღამოზე გამოსულმა ვიქტორ კერნბახმა. — გულახდილად ვამბობ, რომ საქართველო მეორე სამშობლო გახდა ჩემთვის, ამით ნაკლებად როდი მიყვარს მშობლიური რუმინეთი. ეს, უეჭველია, იმითაც აიხსნება, რომ ჩვენი ხალხები ერთმანეთს გვანან როგორც გარეგნობით, ისე ალალი და ღია გულით.

ვიქტორ კერნბახმა ილაპარაკა თავის შემოქმედებითს გეგმებზე. იგი აპირებს დაწეროს ნარკვევთა ციკლი საქართველოს შესახებ, იმოგზაუროს იმ ადგილებში, სადაც პირველად ჩამოსვლის დროს იყო, რათა უფრო მკაფიოდ გვიჩვენოს, თუ როგორ იზრდება და ყვავის საქართველოს რესპუბლიკა. მას განსაკუთრებით აინტერესებს საქართველოს ინდუსტრია, ახალშენებანი, რევოლუციური წარსული.

თავისი გამოსვლის დასასრულს ვიქტორ კერნბახმა წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები „მერანი“ და „ცისა ფერს“, რომელიც რუმინულ ენაზე უთარგმნია.

დიორდ რადომ შეხვედრაზე თქვა:

— თქვენს მშვენიერ რესპუბლიკაში ჩემი ჩამოსვლის მიზანია კიდევ უფრო ახლო გავიცნო ქართველი მწერლები, რაც შეიძლება მეტი ვილაპარაკო ქართულად რათა დავეუფლო ენას როგორც საჭიროა. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია სრულყოფილად შევისწავლო ენა, რომელზეც დაიწერა გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ — ენა, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა ჩვენს დიდ ზიჩის.

დიორდ რადომ შეკრებილთ გააცნო დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი ნაწარმოები, რომლებიც მას უნგრულ ენაზე უთარგმნია.

მისმა მეუღლემ მ. რადომ უნგრულ ენაზე წაიკითხა ბესიკის ლექსები, რომლებიც დ. რადოს გადაუთარგმნია.

ძვირფას სტუმრებს გულითადად მიესალმნენ გ. ლეონიძე, ბ. ჟღენტი. პოეტებმა ა. გომიაშვილმა, ი. ნონეშვილმა, ს. ეულმა, მაყვალა მრევლიშვილმა, გ. კაჭახიძემ, გ. კალანდაძემ, ვ. გორგაძემ წაიკითხეს საკუთარი ლექსები. (საქინფორმი).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი სპორტი

ჩვენი მთამსვლელები შორეული ტიანშანისაკენ...

გასული ალპინისტური სეზონი ჩვენი რესპუბლიკის მთამსვლელთა ტრიუმფით დამთავრდა. მიმდინარე სეზონში ჩვენი ალპინისტების წინაშე დასახულია ახალი, მეტად რთული ამოცანები ტექნიკურად რთული მწვერვალების დაპყრობაში, ტრავერსებში. ჩვენი რესპუბლიკის მთამსვლელების ერთი ჯგუფი უკვე გაემგზავრა ტიანშანში მწვერვალ „პობედის“ დასაპყრობად, რომლის სიმაღლე 7.439 მეტრია.

ჯგუფში შედიან ჯ. მეძმარიაშვილი, ლ. ახვლედიანი, თ. კუხიანიძე, ზ. ახვლედიანი, მ. ხერგიანი, ი. გაბლიანი, ო. ხაზარაძე, დ. დანგაძე, რ. ხაზარაძე, ო. ბერაძე, ჯ. გუგავა, ჯ. კახიანი, გ. კობიძე, ა. ახვლედიანი და სხვ. — სულ 30 კაცი. ექსპედიციის ხელმძღვანელია სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ო. გიგინეიშვილი. მთამსვლელთა ჯგუფს თან ახლავან კინოოპერატორები ბ. კრეპსის ხელმძღვანელობით.

ტიანშანში მწვერვალ „პობედის“ დაპყრობა, აკლიმატიზაციის შემდეგ ქართველ მთამსვლელებს განზრახული აქვთ აგვისტოს პირველ ნახევარში. ასვლა საკონკურსოა.

საქართველოს ალპინისტთა მეორე ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. ივანიშვილი, მიემგზავრება კავკასიონზე. ტრავერსში შედის მაზეს, უშბასა და შხელდის მწვერვალები, ხოლო ტექნიკურად რთულ ასვლებში — მწვერვალ ჩატინის დაპყრობა. ორივე ეს ღონისძიება საკონკურსოა.

ტრავერსში მონაწილეობას მიიღებენ დ. ობოლაძე, გ. ჯაფარიძე, გ. დევაძე, ი. ყავლაშვილი, გ. თიკანაძე, ვ. გაბელაშვილი, ვ. ქირიკაშვილი, ვ. კვაჭაძე და სხვ.

ტექნიკურად რთულ მწვერვალზე — ჩატინზე იერიშს მიიტანენ შ. მირიანაშვილი, ა. ძიძიგური, გ. ბერძენიშვილი, ნ. ნადირაშვილი, გ. მანაგაძე, ლ. ღლონტი, ვ. თევდორაშვილი.

ასვლები აგვისტოს პირველი ნახევრისათვის არის ნავარაუდევი.

ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან მთამსვლელებს ახალი გამარჯვება, შინ მშვიდობით დაბრუნება!

გათამაშების ცხრილი

მეორე ქვეჯგუფი

მდგომარეობა 16 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (ც.)	15	10	3	2	32:11	23
ცსკა	15	10	2	3	44:22	22
„სპარტაკი“ (მ.)	15	7	4	4	23:13	18
„პახტაკორი“ (ტაშ.)	15	7	4	4	25:28	18
„სპარტაკი“ (ერ.)	15	5	6	4	22:23	16
„კაირატი“ (ალმ.)	15	5	5	5	18:21	15
„დინამო“ (მ.)	16	5	5	6	20:24	15
„მოლდოვა“ (კიშ.)	16	5	4	7	26:27	14
„ზენიტი“ (ლ.)	15	4	5	6	17:23	13
„ბელარუსი“ (მნ.)	16	2	5	9	13 24	9
„კალევი“ (ტალ.)	15	0	5	10	10:34	5

სსრ კავშირის თასზე

გუშინ ქუთაისში გაიმართა მორიგი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. თამაშობდნენ ჩერკასკის „კოლგოსპნიკისა“ (უკრაინის პირველი ზონა) და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდები. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 1:0.

„ბ“ კლასის გუნდების შეხვედრები

14 ივლისს შედგა რესპუბლიკების „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი შეხვედრები.

ლენინაკანში ადგილობრივმა „შირაქმა“ დაამარცხა სოხუმის „რიწა“ ანგარიშით 3:2.

ბათუმში კიროვაკანის „ლორისა“ და ბათუმის „დინამოს“ მატჩში ფიქსირებულ იქნა ფრე — 1:1.

ბენდერში პირველი ქვეჯგუფის ლიდერმა თბილისის „ლოკომოტივმა“ მოუგო ბენდერის „ნისტრულს“ 3:1.

თასი „რაპიდმა“ მოიპოვა

გუშინ მოსკოვში ჩატარდა მეორე ფინალური მატჩი ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონთა თასზე. თამაშობდნენ ცსკა-სა და რუმინეთის „რაპიდის“ ფრენბურთელთა კოლექტივები.

ამ გუნდების პირველი შეხვედრა ბუქარესტში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით 3:1. გუშინაც რუმინელებმა სძლიეს მეტოქეს და მოიგეს მატჩი 3:2.

ამრიგად „რაპიდი“ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა.

საერთაშორისო შეხვედრები ფრენბურთში

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში შედგა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები ფრენბურთში ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის.

ორივე შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა. მათ დაამარცხეს თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდი 3:1, ხოლო ამავე საზოგადოების ვაჟთა გუნდი — 3:0.

უცხოური იუმორი



გუსტავმა ორსაათიანი რეფერატის წაკითხვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარეს ჰკითხა, რეფერატი ხომ დამაჯერებელი იყოო.

— კი, როგორ არა, მე თვითონ დავინახე — უმრავლესობა თავს აკანტურებდა, — მიუგო მან.

• • •

ერთმა კაცმა ჰკითხა თავის ნაცნობ მწერალს:

— კაცო, რატომ გიყვარს ღამით მუშაობა, განა დღისით არ გირჩევნია?

მწერალი შეყოყმანდა, ვერაფერი უპასუხა. ამ დროს მგზავრმა ჩაიარა და თქვა:

— იმიტომ, ძმობილო, რომ ღამით ადვილია რისიმე მოპარვა. მაგას კი ჩვეულებად აქვს ხან პეიზაჟი მოიპაროს, ხან ეპითეტი, ხან სახე, ხან შედარება...

• • •

აფთიაქში სამი ბიჭი შევიდა.

— ხუთი პფენინგის პიტნა მინდა, — სთხოვა ერთმა მათგანმა აფთიაქარს. პიტნის ქილები ზემო თაროზე იდგა. აფთიაქარმა კიბე მიიდგა და ბიჭს ხუთი პფენინგის პიტნა ჩამოუღო. მეც ხუთი პფენინგის პიტნა მინდა, — უთხრა მეორე ბიჭმა.

— შე რეგვენო, მაშინვე ვერ მითხარი? — გაწყრა აფთიაქარი, მერე ავიდა თაროზე და ზევიდან მესამეს ჩამოსძახა:

— ახლა შენც არა თქვა, ბიჭო, ხუთი პფენინგის პიტნა მინდაო.

— არა, ბატონო. — მიუგო მან. აფთიაქარი ძირს ჩამოვიდა. მაშ შენ რაღა გინდა? — ჰკითხა მას.

— მე მინდა ათი პფენინგის პიტნა, — ამაყად მიუგო ბიჭმა.

• • •

ფილმის გადაღებაზე ერთმა მსახიობმა უფსკრულის პირას მაღლა ასწია მეორე.

— მთელი ძალით გადაუშვებ დაბლა და კადრიც ბუნებრივი გამოვა, — უთხრეს მას.

— ღვთის გულისათვის, ხელი არ გამიშვა, თორემ სული გამძვრება! — წამოიძახა ზეაწეულმა სასოწარკვეთით.

— რა უშავს, შემდეგ კადრში ხომ აღარ გამოდიხარ, — დაამშვიდეს იგი.

• • •

მასწავლებელი კლასში ბავშვებს მთვარის შესახებ უამბობდა, — ისეთი დიდია, რომ ზედ მილიონობით ადამიანს შეუძლია იცხოვროსო.

უცებ პატარა გოგოს სიცილი აუტყდა.

— რა გაცინებს? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— წარმოდგენილი მაქვს, რა ჭედვა იქნება, როდესაც ნახევარიმთვარეა, — მიუგო ბავშვმა.

თარგმნა გერმანულიდან
შ. ამირანაშვილმა.



16 ივლისი

თეატრი: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ამაო სიფრთხილე.

ტელევიზია: 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — მხატვრული ფილმი — „მწვანე ტყის საიდუმლოება“.

18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.35 — კინოჟურნალი, 18.45 — გადაცემა — „ქართული ფოლადის ოსტატები“, 19.00 — სპორტული გადაცემა, სპორტული გადაცემის შემდეგ — კონცერტი მეტალურგთა თხოვნით;

17 ივლისი

18.00 — გადაცემა ანტირელიგიურ თემაზე, 18.15 — კინონარკვევი, 18.45 — გადაცემა „ხელოვნების მუზეუმში“, 19.15— დოკუმენტური ფილმი — „სერგეი პროკოფიევი“, 20.15 — კვირის ამბები რუსულ ენაზე, 20.30 — მხატვრული ფილმი — „გრძელი კედლის გადაღმა“.

საკვირაო გვერდი
კომუნისტი

ეე 03997

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.